პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე,

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.

№ 87 პარასკევი, 21 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 21 აპრილი 1922 წ. № 87

პარასკევს, 21 აპრილს, დღის 12 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თათბირი პარტსკოლის ლექტორებსა, მდივნებსა და რაიკომების ორგანიზატორებთან ერთად

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა რადგანაც დღის წესრიგში დგას მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.

თ. კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

(3—3

დღეს, 21 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება თათბირი

თბილისის კომიტეტის ბიუროსი, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ფრაქციისა და რაიკომების მდივნებთან ერთად.

კრებაზე მოწვეულია საქართველოს კომ. პარტიის ცეკას წარმომადგენელი. დღის წესრიგშია საკითხები—ქალაქის საბჭოს მუშაობის შესახებ.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

(1—1)

დღეს, ა | წ. 21-ს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის კომენდანტის კაბინეთში (ბარიატინის ქ. № 8), შესდგება

გარნიზონის ნაწილების სამხედრო კომისრების კრება

შეფების წარმომადგენლებთან ერთად 1-ლ მაისის დღესასწაულის საკითხის შესახებ

ყველა შეფებს ევალება აღნიშნულ დროსთვის გამოგზავნონ პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე
პოლიტსეკრეტარიატის უფროსი ავენირი.

(1—1)

იმავ რუსეთ-გერმანიის შეთანხმების გამო

როგორც მოსალოდნელი იყო, 18 ამა აპრილს გენუაში დადებული რუსეთ-გერმანიის შეთანხმებამ უეცრად გავარდნილ ყუმბარის შთაბეჭდილება „მოკავშირეთა“ წრეებში და დიდი აურზაური გამოიწვია. მთელი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია ამ შეთანხმებისაკენ, რომელმაც არევდარევა შეიტანა ანტანტის გადაწყვეტილებებსა და გეგმებში.

ანტანტის მთავარი განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეპირდაპირებინა საბჭოთა დელეგაციისათვის გენუას კონფერენციაზე მთელი დანარჩენი მსოფლიო, არა მარტო მოკავშირე ჯგუფები, არამედ სხვა სახელმწიფოებიც, რათა ასეთი განცალკევების შედეგად მოეხვიათ რუსეთისათვის მძიმე პირობები, ყველა ბურჟუაზიული მთავრობების ერთიანი ფრონტი მუშათა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის სრული იზოლიაცია და კარნახი მისთვის ექსპერტების მიერ ლონდონში გამომუშავებულ აუტანელ პირობებისა—აი მიზანი ევროპაში ამ ჟამად გაბატონებულ სახელმწიფოების მმართველი წრეების. ამ მიმართულებით აწარმოებდნენ ისინი გამალებულ მუშაობას, თათბირებს თათბირებზე იწვევდნენ და ცდილობდნენ ურთიერთშორის შეთანხმებას.

რა თქმა უნდა, არ სძინავდა საბჭოთა მთავრობასაც. ამ შემთხვევაში მისი მიზანი იყო და არის მის წინააღმდეგ მიმართულ ერთიანი ფრონტის დასუსტება და თუ შეიძლება სრული ჩაფუშვაც. ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენციაზე, რომელშიც პოლონეთიც იღებდა მონაწილეობას, საბჭოთა დიპლომატიამ ამ გზაზე საგრძნობ შედეგებს მიაღწია. რუსეთმა აგრძნობინა ამ სახელმწიფოებს მასთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარების აუცილებლობა და ისედაც მეტნაკლებობით დადგნენ რუსეთის მიმართ ასე თუ ისე ლოიალურ პოზიციაზე, საბჭოთა დიპლომატიის მუშაობა აქ არ შეჩერებულა. იგი განაგრძობდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ერთმანეთისაგან გათიშვის დაშორების ცდას. ჩვენ ვხედავთ, რომ ბერლინში ჩვენი დელეგაცია მართავს მოლაპარაკებას გერმანიის მთავრობასთან. ეს მოლაპარაკება დამთავრდა გენუაში ამ ორ სახელმწიფოთა შორის ფორმალური შეთანხმებით, რომლის შესახებ გუშინ გვქონდა ლაპარაკი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის უდიდესი გამარჯვება, რომელსაც მიაღწია საბჭოთა დელეგაციამ ანტისაბჭოთა ერთიანი კოალიციის ჩაშლის საქმეში, უკანასკნელი არ იქნება. ბევრი სახელმწიფო, რომელნიც ჯერ კიდევ ასრულებენ ანტანტის ხელში ბრმა იარაღის როლს, შეიგნებენ, რომ ისინი თავის საზიანოდ მხოლოდ სხვის საქმეს ემსახურებიან, ზურგს შეაქცევენ მას და საბჭოთა რუსეთს გაუწოდებენ ხელს. ამ მხრივ სხვათა შორის, საყურადღებოა შემდეგი ცნობა: მცირე ანტანტის წრეებში მოხდა განხეთქილება. ჩეხო სლოვაკიისა და სერბიის დელეგატები რუსეთის საკითხში შემარიგებელ პოზიციის მომხრენი არიანო. საქმეთა საერთო მდგომარეობა ისეთია რომ ჩვენ უნდა მოველოდეთ ასეთ და უფრო საგულისხმო ამბებს, რომელიც ანტანტის და საერთოდ ანტისაბჭოთა კოალიციის დაშლის დამადასტურებელი იქნება. მაგრამ რუსეთ-გერმანიის შეთანხმებით მიღწეული გამარჯვება მარტო უაღრესი მნიშვნელობის მატარებელია. ესაა უდიდესი ლახვარი ანტანტის ზურგში ჩაცემული და შენგრევა მისი სიმაგრის. ესაა მაჩვენებელი იმ გზის, რომელსაც უნდა დაადგეს გენუას კონფერენციის დირიჟორები რუსეთის საკითხში, შესდგებიან თუ არა ანტანტის ხელმძღვანელები ან ნიადაგზე, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ერთი კი ცხადია: რუსეთთან შეთანხმების დასამყარებლად და მსოფლიო დანგრეულ მეურნეობის აღდორძინებლად სხვა გზა აღარ არსებობს. ეს შეიგნო გერმანიამ, აგრეთვე ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებმაც. ხოლო ვინც ჯიუტობას განაგრძობს და სინამდვილის იმპერატიულ მოთხოვნილებას ანგარიშს არ გაუწევს, თვით ცხოვრების ულმობელი მსვლელობისაგან იქნება ალაგმული და გადასროლილი იმ ორმოში, რომელსაც ის სხვას უთხრის. ამის მაჩვენებელია რუსეთ გერმანიის შეთანხმება, აგრეთვე არევ-დარევის და რღვევის პროცესი, რომლის აშკარა ნიშნებს ვამჩნევთ ანტანტის წრეებში.

ყალბი გზა

ყოველგვარი ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს სასურველ შედეგებს, როდესაც ყველა მის მონაწილეს ყოველმხრივ შეთვისებული აქვს ამ ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები. რამდენადაც უკეთესად და ღრმად იქნება შეგნებული ეს მიზნები, იმდენად ადვილი გახდება მუშაობის გეგმის გათვალისწინება, შესაფერ ღონისძიებათა გამონახვა, დარწმუნებით და შეუცდომლად მუშაობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულებას მხოლოდ სახელი შერჩება. შინაარსი კი მისი თანდათან დამახინჯდება და ეს დაწესებულება ბოლოს და ბოლოს სავსებით გადასცდება წინასწარ დასახულ გზას.

კოოპერაციის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ თავისი წევრების საჭიროება დააკმაყოფილოს.

მომხმარებელი, კერძოდ მუშათა კოოპერაცია სცდილობს, რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს საჭიროება თავის მომხმარებლებისა. მუშათა კოოპერატივის ბაზა—ეს მშრომელი ხალხია, რომელიც მის შემადგენლობაში შედის და ამიტომ ყოველგვარი ჩამოშორება კოოპერატივისა თავის წევრთა უმრავლესობისაგან ბოლოს და ბოლოს კოოპერატივს დაღუპვის გზაზე აყენებს.

ეს უბრალო ჭეშმარიტება თითქოს მუდამ უნდა ახსოვდეს მუშათა კოოპერაციის ხელმძღვანელთ.

ამა და ამ კოოპერატივმა გახსნა დიდებული კაფე-რესტორანი, მეორე კოოპერატივი იჯარით იღებს ქალაქში საუკეთესო სასტუმროს—აი ის ცნობები, რომელიც უკანასკნელ დღეებში მოდის კოოპერაციის შესახებ.

ნუ თუ პროლეტარიატის მოწინავე წრეებმა ეს საქმე მიანდეს მუშათა კოოპერატივებს?

ნუ თუ ამ გვარი საქმეების მოწყობა შეეფერება მუშათა კოოპერაციის ღირსებას, ნუ თუ კაფე რესტორანების გახსნა შეეფერება მუშათა ინტერესებს?

იქნებ ამას ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს?

ვეცდებით მოკლედ ვუპასუხოთ ამ კითხვაზე.

კაფე რესტორანი არის შემოსავლიანი წარმოება. იგი აპარატია ფულის გამოსაცვლელად იმ ბურჟუაზიისაგან, რომელსაც ქეიფის სურვილი და შეძლება აქვს. ამ საშუალებით შეიძლება გავაძლიეროთ კოოპერაციის ძირითადი ოპერაციებიო,—ასეთია ჩვეულებრივი საბუთები ამ გვარ დაწესებულებათა აღების მომხრეებისა.

პირველი ის, რომ სრულიადაც არ არის დამტკიცებული, რომ ამ დაწესებულებას ნამდვილად ექნება ნავარაუდევი შემოსავალი დღევანდელს პირობებში, როდესაც რამდენიმე ათეული უფრო მოქნილი კერძო დაწესებულება მეტოქეობას უწევს კოოპერაციას. შესაძლებელია, რომ სულ რამდენიმე ხანში გაწეულ ხარჯების დაწვრილებით გამოანგარიშების შემდეგ (თვალის მომჭრელი განათება, იჯარა და „დიდკაცური“ დარბაზების მოვლა-პატრონობა რამე ღირს თუ არა) კოოპერაცია ფაქტიურად ნაზარალევი დარჩება.

მეორე—კაფეს მოწყობა, სასტუმროს საქმეების გაძღოლა და სხვა დიდს ფულს ითხოვს და ფული უნდა დაიხარჯოს ავანსათ რაღაც პრობლემატიურ სარგებლიანობის მოლოდინში.

ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოოპერატივს ზედმეტი საშუალება აქვს და იგი, როგორც სამეურნეო ორგანიზაცია, ამ ფულს საქმეში იხმარს, მაგრამ ამ საქმის მომხრეები ხომ იძახიან, რომ შემოსავალი ძირითად ოპერაციების გაძლიერებას მოხმარდებაო. თუ ეს ასეა, მაშინ უმჯობესი არ არის, რომ ის კაპიტალი, რომელიც რესტორანის მოწყობას უნდა, ახლავე მოხმარდეს კოოპერაციის ძირითად ოპერაციებს.

თუ კოოპერაციას თავისუფალი თანხა არა აქვს, მაშინ სასტუმროს საქმეების მოსაწყობად მას მოუხდება ფული მოაკლოს იმ თანხას, რომელიც ძირითად ოპერაციებისთვის არის საჭირო და ან ისესხოს ეს ფული.

განა ეს შესაწყნარებელია, განა ამით რაიმეს მოიგებს მუშათა კლასი? არა გვგონია.

და შემდეგ, განა ასეთი შემოსავლიან საქმეების წარმოება, რომელიც დაკავშირებულია ბურჟუაზიის მოთხოვნილებასთან, გავლენას არ იქონიებს ამ წარმოების მონაწილეთა ფსიქოლოგიაზე? განა ისინი იძულებულნი არ იქნებიან, რომ „ხელსაყრელ ვაჭრობის“ მიზნით მთლად შეეგუონ თავის კლიენტების გემოვნებას, რომელთა ხელშიაც ფაქტიურად იქნება დაწესებულების ბედ იღბალი? განა მათ სუნთქვას არ შეუძლიან კოოპერაციის მთელი ორგანიზაციის მოწამვლა?

აქ დასაფიქრებელი ბევრი რამ არის, განსაკუთრებით მაშინ, თუ გავიხსენებთ, რომ ბოლოს და ბოლოს.. მდგომარეობა ქმნის შეგნებას.

ჩვენ გვგონია, კოოპერაციის მიერ დასახული გზა—ყალბი გზაა: იმას არ მივყევართ მუშათა კოოპერაციის მიზნების განხორციელებისაკენ, იგი არც შეეფერება მუშათა კლასის ღირსებას.

კოოპერატორი.

წითელი პრესა

ერთიანი ფრონტის მტრები.

ამხ. სტეკლოვი ეხება „იზვესტიაში“ სამი ინტერნაციონალის კონფერენციას ბერლინში და იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა როგორც ამ კონფერენციაზე, ისე მის მოწვევამდისაც განსაკუთრებით მეორე და რამოდენიმეთ მეორე ნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის საკითხში. როგორც ყოველგან და ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიც ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები ხედავენ ამ დაწყებულებაში რაღაც მახეს, რომელსაც მათ უგებს მესამე ინტერნაციონალი.

„ამაში,—სწერს ამხ. სტეკლოვი—ისინი მართალიც არიან და მტყუანიც. რამდენათაც ისინი ამბობდენ, რომ ეს წინადადება არის მოხერხებული მანევრი კომუნისტების, ისინი რასაკვირველია მტყუანი იყვნენ, რადგან, როდესაც კომინტერნი იძლეოდა წინადადებას ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, პირველ ყოვლისა მას მხედველობაში ჰქონდა პროლეტარიატის უშუალო კლასიური ინტერესები. მაგრამ, რამდენადაც ისინი გრძნობდენ, რომ ეს სახიფათო საქმე თავის შედეგებით ვნებას მოუტანს მათ, რომ ის ჩამოაგლეჯს მათ ნიღაბს და გამოაშკარავებს ბურჟუაზიის მათ ნებსითი თუ უნებლიე აგენტობას იმდენად არ სცდებოდნენ: ისინი უკეთესათ იცნობენ თავის თავს, ვინემ ჩვენ მათ. ისინი გრძნობენ, რომ თავისი ყოფა-ქცევის გამო წარსულში, ვერ გაუწევენ დღეს ბურჟუაზიას აქტიურ წინააღმდეგობას, ვერ მიიღებენ მონაწილეობას მუშათა კლასის ჭეშმარიტ თავდაცვაში კაპიტალისტების შემოტევისაგან. რადგან მათთვის უფრო სასიამოვნოა მარჯვნივ კოალიციაში ყოფნა ბურჟუაზიასთან, ვინემ კავშირი მარცხნივ პროლეტარიატთან, ამიტომ ისინი წინდაწინვე სცდილობდნენ გაებახებიათ ერთიანი ფრონტის იდეა და ხელი შეეშალათ ბერლინის კონფერენციის მოწვევისათვის“.

ეს იქნებოდა, რასაკვირველია, ხელსაყრელი პირველ ყოვლისა ბურჟუაზიისათვის, რომელიც თავის საქმეს აკეთებს მუშათა შორის შემორჩენილ სოციალ-გამყიდველების ხელით, რადგან.

„ბურჟუაზიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: 1) არ განხორციელდეს მუშათა ერთიანი ფრონტის იდეია და ამნაირათ დასტოვოს პროლეტარიატი დაქსაქსული, დაშლილი, და ეს მაშინ, როდესაც თვითონ გაერთიანებული ფრონტით აწვება მას; 2) საშუალება არ მისცეს მსოფლიო პროლეტარიატს გამოსთქვას თავისი ერთსულოვანი სიმპატია საბჭოთა რუსეთის მიმართ, რასაც ექნებოდა უაღრესი მნიშვნელობა გენუის კონფერენციის გამო, სადაც ბურჟუაზია შეეცდება ყელში ბაწარი წაუჭიროს საბჭოთა რესპუბლიკას. სწორეთ ამიტომ სცდილობდენ მეორე ინტერნაციონალის გმირები თათბირის ჩაშლას. მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. ვენის ინტერნაციონალის უმრავლესობა და იტალიის სოციალისტური პარტია არ გაჰყვა მეორე ინტერნაციონალს, რომ ასე დაჩქარებით ჩაეშალათ დაწყებული საქმე“.

ამხ. სტეკლოვის აზრით კიდევაც რომ მოხერხდეს მეორე ინტერნაციონალის იზოლიაცია და ერთიანი ფრონტის მიღწევა რამოდენიმეთ მაინც, მისი წარმომადგენლები მაინც არ მოისვენებენ და მუდამ ხელისშემშლელებათ გამოვლენ, მიუხედავათ იმისა, რომ იძულებულნი მათი, დღეს კიდევ, მიმდევარნი მუშების მიერ, ისინი ვერ გაბედავენ ყოველთვის და ყოველგან აშკარათ ამხედრდნენ შეთანხმებული გამოსვლების წინააღმდეგ მაგრამ მათ აკავებთ არა მარტო ეს მოსაზრება.

„მათ იმისი შიში უფრო აქვთ კიდევ, რომ ასეთი ყოფაქცევით შეუძლიათ ჩამოიცალონ შუათანა პარტიები და ამნაირათ დაუახლოვონ ისინი კომინტერნს. სწორეთ ასეთმა მოსაზრებამ აიძულა ისინი ხმა დაეწიათ და ბერლინის თათბირს არ გასცლოდნენ. მაგრამ მათი აგრესიული გამოსვლების მოულოდნელმა რეზულტატმა თავი იჩინა უკვე. ამდენხანს მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალი ჩვეულებრივ გამოდიოდნენ თანხმობით კომინტერნის წინააღმდეგ. ვანდერველდესა დ პოლფორის უხეშმა პროვოკაციულმა ტაქტიკამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ავსტრიელები და იტალიელები იძულებული შეიქნენ გაელაშქრათ მათ წინააღმდეგ კომინტერთან თითქმის ერთათ. ამიტომ იყო, რომ მეორე ინტერნაციონალი უცებ შესდგა და მისი წარმომადგენლის, მაკდონალდის, უკანასკნელ სიტყვაში ისმოდა შემარიგებელი ნოტები. ეს მომავალშიაც განმეორდება. და რამდენათ მეორე ინტერნაციონალში, მიუხედავათ მის დაუდგრომლობის და მერყეობისა, მოიძებნებიან ელემენტები, რომლებსაც სწადიათ ანგარიში გაუწიონ მუშათა ხმას და შეძლებისადაგვარათ მათ ემსახურონ, იმდენათ იძულებული იქნებიან ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იარონ კომინტერთან ერთად აშკარა და ფარულ სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ. ჩვენი ტაქტიკის უნარიანობისაგან იქნება აწი დამოკიდებული, შევსძლებთ თუ არა ვისარგებლებთ შემთანხმებელთა ბანაკში დაწყებული გათიშვით, რათა შევქმნათ რამოდენიმეთ მაინც გაერთიანებული ფრონტი, თუ ახლო მომავალში მუშათა კლასის სრულიად ერთიანი ფრონტის მიღწევა მოუხერხებელი იქნება“.

გენუის კონფერენცია

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება.

ნაუენი, 19 აპრილი (რადიო) რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენლებმა გერმანიის პრეზიდენტის ებერტის თანხმობით, ხელი მოაწერეს გენუაში ხელშეკრულებას, რომლითაც ორივე სახელმწიფო ურთიერთ უარს აცხადებდა ომამდის არსებულ და ომის დროინდელ ვალებზე და გარანტიას აძლევენ ერთი-მეორეს მომავალში შეკრან ორივე მხარისათვის ძლიერ ხელსაყრელი ხელშეკრულება. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს საკონსულო დამოკიდებულებათა და ზოგიერთ ომამდის არსებულ ეკონომიურ შეთანხმებათა აღდგენას.

რომი, 19 აპრილი (რადიო). 18 აპრილს რატენაუმ გერმანიის სახელითა და ჩიჩერინმა რუსეთის სახელით როპალოში (გენუის ახლო) ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც ეს სახელმწიფონი ურთიერთ უარს აცხადებენ როგორც ომის მიერ მიყენებული ზარალის, ისე სამხედრო ტყვეების შესანახად გაღებულ ხარჯების გადახდაზე. ხელშეკრულობა ითვალისწინებს გამოზიდული მასალისათვის ხარჯების ანაზღაურებას, სახელმწიფოებრივს და კერძო უფლების ცნობას და დიპლომატიურისა და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას.

შეშფოთდნენ.

ბერლინი, 19 აპრილი (რადიო). როგორც კი გავრცელდა ხმები, რომ გერმანიისა და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სეპარატიულ ხელშეკრულებას, გენუის კონფერენციის იურიდიულ კომისიას დაევალა განიხილოს ხსენებული ხელშეკრულობა არსებითათ, ვერსალის ხელშეკრულობის 160—170 მუხლების მიხედვით.

ბორდო, 19 აპრილი (რადიო). იურისტი ექსპერტები უკვე შეუდგნენ გერმანია-რუსეთის ხელშეკრულების ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით განხილვას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გერმანიისა და რუსეთის რესურსები უნდა ეცნობოს საკონტრიბუციო კომისიას. მოკავშირე სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ სასწრაფოდ განიხილონ საკითხი, არის თუ არა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულება კერძო შეთანხმება და შეიძლება თუ არა მისი შეთანხმება ევროპის აღდგენის საერთო გეგმასთან, რომლის შემუშავებაც წარმოადგენს გენუის კონფერენციის მთავარ მიზანს.

რაკოვსკის განმარტება.

ნაუენი, 19 აპრილი (რადიო). რაკოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთ-გერმანიის შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოადგენს ცალკე შეთანხმებას, დადებულს კონფერენციის გარეშე. მოლაპარაკება აღნიშნული ხელშეკრულების დასადებად დაწყებული იყო ჯერ კიდევ 3 კვირის უკან. გენუაში მოხდა მხოლოდ მისი საბოლოოთ ჩამოყალიბება, როდესაც რუსეთის დელეგაციამ მიუთითა გერმანიის დელეგატებს მოლაპარაკების მსვლელობის ძალიან დაგვიანებით წარმოებაზე.

რა ვქნათ?

ბერლინი. 19 აპრილი, (რადიო). დიდი და მცირე ანტანტის დელეგატების მეთაურები შეიკრიბენ იმ თათბირზე, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შექმნილი მდგომარეობის განხილვა. თათბირი გაიმართა ლოიდ-ჯორჯის მიერ დაკავებულ შენობაში; თათბირმა უნდა მოისმინოს იურიდიულ კომისიის მოხსენება და გამოარკვიოს თუ რა ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული.

ბორდო. 19 აპრილი, (რადიო). ამ თათბირზე ლოიდ ჯორჯმა ენერგიულად განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობის შესახებ ერთგვარად აწევს გერმანიასა და რუსეთს. სეპარატიული ხელშეკრულების დადების ფაქტი უმთავრესად დააწვება კისერზე გერმანიას რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ხელშეკრულებას და რომელშიც რუსეთს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ლოიდ ჯორჯმა ხაზი გაუსვა გერმანიაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რათა მან გააუქმოს უკვე დადებული ხელშეკრულება. ლოიდ ჯორჯმა დასასრულ განაცხადა, რომ ამ ჟამად ყველაზე უფრო ცუდი პოლიტიკა იქნება სისუსტის პოლიტიკა.

თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოკავშირეებმა განსაკუთრებული ნოტით უნდა აცნობონ რუსეთისა და გერმანიის დელეგაციებს, რომ მათ მიერ სეპარატიული ხელშეკრულობის დადების დროს დაკავებული პოზიცია ქმნის მოკავშირეთა იმ კომისიაში მონაწილეობის შეუძლებლობას, რომელსაც დავალებული აქვს რუსეთის საკითხის განხილვა, თუ, რასაკვირველია გერმანია დაჟინებით მოითხოვს რუსეთთან მის მიერ დადებულ ხელშეკრულების დაცვას.

გენუა. 19 აპრილი, (რადიო). 18 აპრილს, დილით, რადჟიოს სასახლეში, რომელიც უკავია იტალიის დელეგაციას, გაიმართა დელეგაციათა შეერთებული თათბირი. თათბირში მონაწილეობას არ იღებდენ რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენლები და აგრეთვე იმ სახელმწიფოთა დელეგატები, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდენ ომში. თათბირზე ირჩეოდა საკითხი შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ანტანტის წერილობითი განცხადება.

გენუა, 19 აპრ. რადიო. რადჟიოს სასახლეში ნაშუადღევსაც გაგრძელდა თათბირი შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. დებატებს ძლიერ ცხოველი ხასიათი ქონდა. ყველა დელეგატები შეუერთდნენ ლოიდ-ჯორჯის წინადადებას. იტალიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები სცდილობდენ საერთო ძალ-ღონით შეემსუბუქებიათ ლოიდ-ჯორჯის წინადადება. მიღებული იქნა გარკვეული გადაწყვეტილება, რომელიც საერთო შეთანხმების მიხედვით ეცნობა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს შემდეგი წერილობითი განცხადების (ნოტის) სახით:

„ბატონო თავმჯდომარე! ქვემორე ამისა ხელის მომწერი სახელმწიფონი, გაკვირვებულნი არიან იმ ცნობით, რომ გერმანიამ, კონფერენციის მუშაობის დაწყებისას და დანარჩენ აქ მყოფ დელეგაციათა წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დასდვა აქ საიდუმლო ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან. ის საკითხები, რომელსაც ეხება ხსენებული ხელშეკრულება, არის ამ ჟამად საგანი ერთის მხრივ რუსეთისა და მეორეს მხრივ კონფერენციაზე მოწვეულ ყველა სხვა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებისა და მათ შორის თვით გერმანიისაც.

ჯერ ერთი კვირაც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც გერმანიის კანცლერმა კონფერენციის გახსნის დღეს განაცხადა, რომ გერმანიას დელეგაციას განზრახვა აქვს ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან აღნიშნულ საკითხების ლოიალურად და სოლიდარულად გადაწყვეტის საქმეში. ქვემორე ამისა ხელის მომწერი სახელმწიფონი აუცილებელ გარემოებად სთვლიან აცნობონ გერმანიის დელეგაციას სავსებით გულახდილად თავისი აზრი, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ ამგვარი ხელშეკრულების დადება კონფერენციის მუშაობის დროს, არის დარღვევა იმ ვალდებულებათა, რომელიც მიიღო გერმანიამ მიიღო რა კონფერენციაზე მოწვევის წინადადება. მოვიწვიეთ რა გერმანია გენუაში და წინადადება მივეცით რა მას გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები ყველა კომისიებში თანასწორი უფლებებით, კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოებმა ამით მას მისცეს დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ისინი ივიწყებენ წარსულ ომს და აძლევენ გერმანიას შესაძლებლობას პირნათლად ითანამშრომლოს ყოფილ მტრებთან იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც მიზნად დაისახა კონფერენციამ.

ამ წინადადებაზე, რომელიც ნაკარნახევი იყო კეთილი განზრახვებითა და სოლიდარობის გრძნობით, გერმანიამ უპასუხა ისეთი აქტით, რომელიც არღვევს ამ ურთიერთ ნდობის სურვილებსა რაც აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომლის განმტკიცებაც კონფერენციის მთავარ მიზანს შეადგენს. ყველა კონფერენციებზე ოფიციალური მოლაპარაკებანი მხარეთა შორის არა თუ კანონიერია, არამედ სასურველიცაა. ის სასარგებლოა, რამდენათაც ხელს უწყობს საერთო მიზნების განხორციელებას და რამდენათაც მისი შედეგები შემდეგ წარედგინება კონფერენციას განსახილველადა და გადასაწყვეტად. მაგრამ გერმანიის დელეგატები მოიქცნენ სულ სხვა გვარად. იმ დროს, როდესაც კონფერენცია განაგრძობდა თავის მუშაობას და გერმანიაც წარმოდგენილი იყო ყველა კომისიებსა და ქვეკომისიებში, რომელთაც დავალებული აქვთ რუსეთთან მოლაპარაკების წარმოება საერთო-ევროპიული ზავის ჩამოსაგდებად კანის გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე, აღნიშნულ კომისიების გერმანიის წარმომადგენლებმა, თავის კოლეგებისაგან საიდუმლოთ, ხელი მოაწერეს რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც მათ თავის თავზე მიიღეს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ვალდებულებანი.

ასეთი ხელშეკრულება არ შეიძლება განიხილოს და დაამტკიცოს კონფერენციამ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საბოლოოა და არც ფიქრობდენ მის კონფერენციაზე განსახილველად წარდგენას. ეს ხელშეკრულება დარღვევაა ყველა იმ პრინციპებისა, რომელსაც ეყრდნობა კონფერენცია. ყოველივე ამის გამო, უწყებულ ნოტის ხელის მომწერნი სახელმწიფონი იძულებულნი არიან კითხონ თავის თავს: სწორი იყო თუ არა, მიზან შეწონილი იყო თუ არა ის გარემოება, რომ გერმანია, რომელმაც შეკრა რუსეთთან ცალკე ხელშეკრულება, მონაწილეობას იღებდა იმ საკითხის განხილვაში, რომელსაც აზრად ქონდა ჩვენსა და რუსეთთან შეთანხმების შესაძლებლობის გამორკვევა.

აღნიშნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იმ საკითხში იმ დასკვნამდის მივიდენ, რომ გერმანიის დელეგატები, მიიღეს რა მათ ვალდებულება... (გამოტოვებულია), ქონდათ განზრახვა შემდეგ უარი ეთქვათ მონაწილეობა მიეღოთ, კონფერენციაზე წარმოდგენილ სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის, შეთანხმების განხილვაში.

მიიღეთ ბატონო თავმჯდომარე ჩვენი ღრმა პატივისცემა. ნოტას ხელს აწერენ: ლოიდ-ჯორჯი, ლუიჯი ფაქტა, ბარტუ, ფენისი, ედუარდ სკირმუნტი, დიამანტი, გომესი.

კონფერენციამ უნდა განაგრძოს მუშაობა.

ბორდო. 19 აპრილი. (რადიო) იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი მოითხოვს კონფერენციის მუშაობის აუცილებლად გაგრძელებას. შანცერმა გამოსთქვა ის აზრი, რომ გენუიდან რუსეთისა და გერმანიის დელეგაციების წასვლა, აუცილებლად გამოიწვევს ყველა სხვა დელეგატების გამგზავრებასაც.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის განსაკუთრებული სესია.

რომი. 19 აპრილი. (რადიო). ლენინმა როგორც კი მიიღო ჩიჩერინის

დეპეშა, წინადადება შეიტანა მოეწვიათ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის განსაკუთრებული სესია რუსეთის ეკონომიური აღდგენის იმ პირობების განსახილველად, რომელიც მოკავშირეებმა წარუდგინეს რუსეთის დელეგაციას კონფერენციაზე.

ბორდო. 19 აპრილი. (რადიო). გადაწყვეტილია მოიწვიონ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის განსაკუთრებული სესია იმ ფინანსიურ პირობების განსახილველად, რომელიც წარუდგინეს მოკავშირეებმა რუსეთთან დამოკიდებულების აღსადგენათ.

მთელი ევროპა შეშფოთებულია.

რომი. 19 აპრილი. (რადიო). რუსეთ გერმანიის ხელშეკრულებამ, რომელიც ოფიციალურად აცნობეს იტალიის დელეგაციას, გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა იტალიისა და საერთოდ ევროპიულ პრესაში. ჰავასის სააგენტო იუწყება რომ გერმანიამ თავისი ამგვარი მანევრით დაასწრო მოკავშირეებს რუსეთის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რითაც, რასაკვირველია, მას სურდა ერთგვარ უპირატესობა ა მიღება.

პრესის აზრი

გერმანიის პრესა.

ნაუენი. 19 აპრილი (რადიო) გერმანიის პრესა იუწყება, რომ ანტანტა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების განხილვის შემდეგ, თვით დაიწყებს რუსეთთან მოლაპარაკებას. გაზეთ „ფოსიშე ცეიტუნგი"-ს სიტყვით რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება არ აყენებს ახალ საერთაშორისო პრობლემებს, არამედ ისახავს მხოლოდ ეკონომიურ მიზნებს. ხელშეკრულების საფუძველს შეადგენს მეგობრული და მშვიდობიანი დამოკიდებულების აღდგენა, რომელიც არსებობდა ორივე ამ სახელმწიფოთა შორის.

ამერიკის პრესა.

ბერლინი. 19 აპრილი. (რადიო). გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის ცნობით, გერმანიასა და რუსეთს, როდესაც ისინი ხელს აწერდენ ხელშეკრულებას და უარს აცხადებდენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე, ამოქმედებდათ ის პრინციპები, რომელიც გამოქვეყნებული იყო ვილსონის მიერ, სახელდობრ ისა, რომ ამიერიდან აღარ არიან არც გამარჯვებულნი და არც დამარცხებულნი. გაზეთ „ლოკალ ანცეიგერ"-ის სიტყვით, ამერიკა რუსეთ გერმანიის ხელშეკრულობას სთვლის გენუის კონფერენციის პირველ ფაქტიურ შედეგათ.

იტალიის პრესა.

ბორდო. 19 აპრილი. (რადიო). გარდა ექსტრემისტული და გერმანოფილური გაზეთებისა, იტალიის პრესა უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებით. იტალიის გაზეთები „ამგვარი მანევრის მთელ უხერხულებაში" ბრალს სდებენ გერმანიას.

საფრანგეთის პრესა.

ბორდო. 19 აპრილი. (რადიო). საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ რუსებსა და გერმანელებს აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი კონფერენციის კომისიებში, რადგანაც მათ მიერ უკვე დადებული ხელშეკრულება უარყოფს მათი წარმომადგენლების იმ საერთაშორისო ყრილობაზე მონაწილეობის აუცილებლობას, რომელიც მოწვეული იყო სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად. პარიზის პრესა აღნიშნავს, რომ ლოიდ-ჯორჯი „აღშფოთებულია ამგვარი საქციელით, რომელიც შეურაცყოფს მის ღირსებას". გაზეთები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა შეიქნა ისეთი, თითქოს „ლოიდ-ჯორჯმა მიიწვია გენუაში სახელმწიფოთა წარმომადგენლები მხოლოდ იმისათვის, რომ დასწრებოდენ გერმანია-რუსეთის დაქორწინებას". ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთები ზეიმობენ და აღნიშნავენ, რომ ბოლოს და ბოლოს „იტალიელებს საბჭოთა რუსეთის იმედი გაუცრუვდათ, რომელიც ამ თავისი გამოსვლით ლამობენ კონფერენციის ჩაშლას. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ იტალია იყო საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთი დამცველ-თაგანი."

საფრანგეთის თვალსაზრისი.

პარიზი, 19 აპრილი (რადიო) გაზეთ „გოლუა"—ს მოყავს შემდეგი სიტყვები: რუსეთ-გერმანიის ახალი ხელშეკრულება—მეორე ბრესტ-ლიტოვსკია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი შედეგებიც ისეთივე იქნება და იგი გამოიწვევს მოკავშირეთა ფრონტის უფრო გამაგრებას."

ბორდო 19 აპრილი (რადიო). გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლოღიკა გვიკარნახებს, რომ საფრანგეთი, რომელიც გამოცხადდა გენუაში გულწრფელი სურვილით ხელი შეეწყო კონფერენციის ნაყოფიერებისათვის, არ მოისურვებს ამ მუშაობის ჩაშლას სანამ არ შეეცდება განაგრძოს იგი, თუ კი იქნება საამისო ცოტაოდენი შესაძლებლობაც კი და თუ იგი არ იქნება საზიანო საფრანგეთის ინტერესებისათვის.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ ყოველ შემთხვევაში, გერმანია რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობა უნდა გამოირკვეს და შეიცვალოს თუ გინდ ამ ხელშეკრულების სავსებით გაუქმებით, ორივ მხარეთა თანხმობის მეოხებით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება უეჭველად არღვევს ვერსალის ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლებს

პარიზი. 19 აპრილი (რადიო). ბარტუმ ყოველივე აცნობა პარიზს. ბარტუსა და პუანკარეს შორის შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მოხდა დეპეშით აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმედი აქვთ, რომ 19 აპრილის სხდომაზე, ბარტუ აცნობებს მოკავშირეებს და მცირე ანტანტის წარმომადგენლებს ოფიციალურ საფრანგეთის აზრს.

მცირე ანტანტის აზრი.

ბორდო. 19 აპრილი (რადიო). გაზეთ „პტი პარიზიენის" ცნობით მცირე ანტანტის დელეგატები ფიქრობენ, რომ გერმანია ჩაიდინამ „მიუტევებელი შეცდომა, შეკრა რა სეპარატიული ზავი რუსეთთან."

არ აფასებდენ.

პარიზი 19 აპრილი (რადიო) გაზეთ "ჟურნალი" მოყავს რაკოვსკის სიტყვები, რომელმაც თითქოს განაცხადა, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება არის დამამტკიცებელი გერმანიისა და რუსეთის შემარიგებელი მისწრაფებებისა, რომელსაც ძალიან ნაკლებად აფასებდა ევროპა და განსაკუთრებით ინგლისი.

იტალიის დელეგაციის აზრი.

ნაუენი 19 აპრილი (რადიო). იტალიის დელეგაცია ფიქრობს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს. იტალიასა და ინგლისის დელეგატები აღნიშნავენ, რომ ერთგვარათ ისინი არიან პასუხისმგებელნი იმისა, რომ კონფერენციის მუშაობა სასურველად დამთავრდეს და რომ მან მართლაც შეამზადოს პირობები ევროპის ეკონომიური და მორალური აღდგენისათვის.

საფრანგეთის დელეგაციის აზრი.

ნაუენი. 19 აპრილი (რადიო). ეკონომიურ კომისიის თავმჯდომარემ, საფრანგეთის დელეგატმა განაცხადა: გერმანიასთან და რუსეთთან მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელია მანამდის, სანამ მდგომარეობა არ გამოირკვევა.

კონფერენციის ტეხნიკური მუშაობა.

გენუა, 19 აპრილი (რადიო). 18 აპრილს, დილით, სან-ჯორჯიოს სასახლეში გაიმართა ეკონომიური კომისიის სხდომა იმ მოხსენების განსახილველად, რომელიც შედგენილი იყო ლონდონში ექსპერტებისაგან, ფულის გაცვლა გამოცვლის შესახებ.

მიღებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფოთა დელეგატების მიერ შეტანილი შესწორებები და დამატებანი. სხვათა შორის წამოყენებულ იქნა საკითხი გასატან კაპიტალზე კონტროლის დაწესების შესახებ.

პოლონეთ გერმანიის შეთანხმება.

ნაუენი, 19 აპრ. (რადიო). გერმანიის და პოლონეთის წარმომადგენლებმა ჟენევაში 18 აპრილს დასდეს ხელშეკრულება, რომელიც ეხება ზემო სილეზიაში ეკონომიურ საკითხების მოწესრიგებას. პოლონელები წავიდენ დათმობაზე შემდეგ მუხლებში: გერმანიის ქონებათა ლიკვიდაცია, უმცირესობათა დაცვა, ენა და სკოლის პრობლემა.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის განცხადება რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების შესახებ.

მოსკოვი, 19 აპრ. რადიო. 18 აპრილს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური განცხადება: „რუსეთის დელეგაციის ბერლინში ყოფნის დროს მას მოლაპარაკება ქონდა გერმანიის მთავრობასთან, რუსეთ გერმანიას შორის ხელშეკრულების ჩამოსაგდებათ, რომლის მიზანიც იქნებოდა ორივე სახელმწიფოთა ურთიერთი ცნობა და ყოველგვარ დამოკიდებულებათა სავსებით აღდგენა. ეს მოლაპარაკება გაგრძელებულ იქნა შემდეგ გენუაში და დამთავრდა 16 აპრილს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკისა და გერმანიის რესპუბლიკებს შორის დადებულ ხელშეკრულების ხელის მოწერით. ორივე მხარემ უარი განაცხადა ევროპის ომთან დაკავშირებულ ზარალის ანაზღაურებაზე. გერმანია უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე, რომელიც გამომდინარეობს რუსეთის ტერიტორიაზე გერმანიის ქვეშევრდომთა ქონების ნაციონალიზაციიდან და კონფისკაციიდან.

რუსეთის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკისა და გერმანიის რესპუბლიკის შორის დაუყონებლივ აღდგენილ უნდა იქნეს დიპლომატიური ურთიერთობა".

მოკავშირეები რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ.

პარიზი 18 აპრ. რადიო. (საფრანგეთის პრესის რადიო) (მოსკოვით). რუსეთ გერმანიის შორის ხელშეკრულების დადების ცნობამ მოკავშირეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მოკავშირეთა აზროვნება მიპყრობილია რუსეთ გერმანიის ხელშეკრულობისაკენ მოკავშირეებმა ერთხმად დადგინეს დაავალონ იურიდიულ კომისიას განიხილოს თუ რამდენათ შეესაბამება ახალი ხელშეკრულება ვერსალის ხელშეკრულებას. ხვალ მოკავშირენი შეიკრიბებიან საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. ინგლისის წრეებში ხელშეკრულების დადებამ საოცარი გავლენა მოახდინა.

—მოკავშირეთა თათბირზე ბარტუმ ცხარე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გერმანიისა და რუსეთის „ორპირობა", რომელნიც, ბარტუს სიტყვით, კონფერენციის კულისებში იმეორებენ ბრესტ-ლიტოვსკის მახვილს.

— **საფრანგეთის ოფიციალური რადიო გაბრაზებულია რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებით და უცქერის მას, როგორც იმათ ცდას, რომელსაც სურს გავლენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოთა პოზიციაზე რუსეთის საკითხში.**

ნაწილობრივი შეთანხმება მოკავშირეებთან.

რომი, 16 აპ. (რადიო). (მოსკოვით) დღეს ლოიდ ჯორჯის ბინაზე შეიკრიბენ მოკავშირეთა ექსპერტები, რათა რუსეთის დელეგატებთან ერთად განიხილონ რუსეთის საკითხის სხვადასხვა პუნქტები და შეეცადონ გამონახონ საშუალებები შეთანხმების მოსახდენად.

ლონდონი, 17 აპრილი (რადიო). (ინგლისის პრესის რადიო) (მოსკოვით). გუშინ განახლდა მოკავშირეთა და საბჭოთა წარმომადგენლების ოფიციალური სხდომა, რომელიც გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში. სხდომაზე ვერავითარი საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. რუსებმა დატოვეს თათბირი, რათა უფრო დაწვრილებით გაეცნონ მოკავშირეთა წინადადებას და განაცხადეს, რომ ისინი აცნობებენ მოკავშირეებს თუ როდის მოემზადებიან შემდეგი თათბირისათვის. მეორე დღეს უკვე მოხდა ნაწილობრივი შეთანხმება ზოგიერთ მუხლებში.

ლოიდ ჯორჯისა და ჩიჩერინის თათბირი.

ვარშავა, 14 აპრილი (რადიო—მოსკოვით) გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯს ქონდა ჩიჩერინთან ხანგრძლივი თათბირი ჩიჩერინისა და ბარტუს შორის განიარაღების საკითხის თაობაზე მომხდარ შეტაკების შესახებ.

რუსეთის პოზიციას იწონებენ.

სანტა მარგარიტა, 14 აპრილი (რუსეთის დელეგაციის პრეს ბიუროს რადიო—მოსკოვით). სხვადასხვა მიმართულების იტალიის პრესა აკრიტიკებს საფრანგეთის პოზიციას და იწონებს რუსეთის პოზიციას. გაზეთი „ავანტი" მკაცრათ არკვევს მოკავშირეთა მემორანდუმს, რომელიც წარმოადგენს რუსეთის კოლონიად გადაქცევის ცდას. საერთოდ კონფერენციის წევრთა შორის მტკიცდება ის აზრი, რომ მოკავშირეთა მემორანდუმი აძნელებს კონფერენციის მუშაობის სასურველად დამთავრებას. ზოგიერთი გაზეთები აღნიშნავენ, რომ მოკავშირეთა ცდა მეორე ვერსალის შექმნის შესახებ, სრულებით უიმედოა. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთი აქტიურად გამოდის ნამდვილი ზავის ჩამოგდების მოსურნეთ იმპერიალისტების საწინააღმდეგოთ.

რუსეთის მთავრობის პროტესტი.

მოსკოვი. 19 აპრ. (რადიო). დასაწყისი არ არის მიღებული)... „რუსეთის მთავრობამ თავის დროზე მიუთითა დაბრკოლებებზე და გენუასთან კავშირის დაჭერის ცუდ პირობებზე, რის გამოც წინადადებას იძლეოდა მოლაპარაკების ადგილად სხვა ქალაქი აერჩიათ. რუსეთის მთავრობამ მიიღო სათანადო რწმუნება იმისი, რომ ყოველგვარი ზომები იქნებოდა მიღებული მოსკოვთან საჭირო კავშირის დასაჭერად. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მაშინ, როდესაც კონფერენციაზე მოწვეული ყველა სახელმწიფოთა კავშირი აქვთ თავის დელეგაციებთან პირდაპირი მავთულის საშუალებით, რუსეთის მთავრობა იღებს ცნობებს გენუიდან ერთი დღის შემდეგ და ისიც ძლიერ დამახინჯებულად. რუსეთის მთავრობა გავალებსთ თქვენ, პირდაპირ და გადაჭრით მოსთხოვოთ იტალიის მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია კონფერენციის ტეხნიკური ორგანიზაციის საქმეში, რომ მან მიიღოს სათანადო ზომები ჩვენთვის პირდაპირი მავთულის მოწყობისათვის. გარდა ამისა მოითხოვეთ გარანტიები მოსკოვში გამოსაგზავნ და აქედან მისაღებ რადიო-დეპეშების რიგს გარეშე ჩაბარებისათვის. და იმ დროს, როდესაც რუსეთის დელეგაცია, კონფერენციის მოწყობათა მიზეზის გამო მოკლებულია საშუალებას იქონიოს თავის მთავრობასთან უშუალო კავშირი და მიაწვდინოს მას მთელი ინფორმაცია კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ, ამავე დროს ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოფიციალური სააგენტოები ავრცელებენ მთელ ქვეყნიერებაზე დამახინჯებულ ცნობებს კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ და უკეთეს შემთხვევაში სრულებით სტოვებენ სიტყვებს საბჭოთა დელეგატებისას. რუსეთის დელეგაცია ჩაყენებულია მუშაობის საოცრად მძიმე, ჯერ არ გაგონილ და უთანასწორო პირობებში, რაც საჭიროა კონფერენციის მუშაობის შედეგების ნაყოფიერებისათვის დაუყონებლივ იქნეს შეცვლილი".

„გენუა სურთ ჩაშალონ".

მოსკოვი. 20 აპრ. (რადიო). საბჭოთა პრესა—ერთხმად აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ მტაცებელ კერძო კაპიტალის წარმომადგენლებს სურთ ჩაშალონ გენუა, რომ ისინი „ჯერ გაუგონელი იმპერიალისტური ხეპრეობით" ექცევიან საბჭოთა რუსეთს, მოაგონებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ჩვენ ძალას—და კაპიტალისტური ქვეყნების მილიონ უმუშევართ.

გაზეთი „იზვესტია" სწერს: „ეჭვს გარეშეა უკვე საბჭოთა დელეგაციის მორალური გამარჯვება გენუაში. ამას აღარ უარყოფენ არცერთი ქვეყნისა [illegible] მიმარ. გაზეთები. მაგრამ მორალური, გამარჯვებიდან—ნამდვილ გამარჯვებამდე დიდი საზღვარია და „დიდ" სახელმწიფოთ, რომელთაც განიცადეს დამარცხება პრინციპიალურ კამათში, ცოტახნის შესვენების შემდეგ, სურთ რევანში მოგვცენ უფრო არსებით საკითხებში. ლონდონის ექსპერტების დაწუნებული მოხსენება სავსებით გაჟღენთილია დაპყრობითი, ძალადობისა და მტაცებლობის სურვილებით. ეს არის ცდა ჩაშალონ საკითხი საბჭოთა კონტრ პრეტენზიების შესახებ, შექმნან რუსეთში კაპიტულიაციის რეჟიმი და ჩუმად ელაპარაკონ [illegible] და ბურჟუაზიის ბატონობის [illegible] მოთხოვნილებები, რომელსაც [illegible] მოხსენება შეიცავს, წარმოადგენენ ცხად მისწრაფებას ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევისას და გამოხატავენ დაფარულ მუქარას ჩვენში ჩვენივე კანონებით დაწესებულ პოლიტიკურ წყობილების მიმართ. დაეთანხმება თუ არა საბჭოთა რუსეთი ამ დრაკონისებურ პირობებს? საბჭოთა რუსეთი არავითარ შემთხვევაში და არასოდეს არ ფიქრობს კაპიტულიაციას. იგი მთლიანად, თავისი ყველა სოციალური ჯგუფების სახით, ერთხმად უარყოფს ლონდონის ექსპერტების მიერ შემუშავებულ მოხსენების პრინციპებს, რომელიც მთელი საბჭოთა რუსეთის თვალსაზრისით წარმოადგენს პირდაპირსა და უხეშ მუქარას მიმართულს არა მარტო მისი კეთილდღეობის, არამედ რუსეთის ხალხის სუვერენულ უფლებათა წინააღმდეგ, მუქარას არა მარტო მისი სიცოცხლისა, არამედ ღირსების წინააღმდეგაც. ძნელია იმის თქმა თუ რითი დამთავრდება ეს დაწესებული ბრძოლა; მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება დანამდვილებით: ან ყველაფერი ჩაიფუშება, ან არა და თუ შეთანხმება მოხდა, ყოველ შემთხვევაში ეს მოხდება არა პარიზის [illegible] და იმპერიალისტების გაიძვერა[illegible]ცებლობისა და დაბალი ღირ[illegible] ღვარძლიანობის კარნახით. როდესაც ამ სულთა მხუთავების მისწრაფებები გამოაშკარავებულია, ჩვენ უნდა ვემზადებოდეთ ყველა საშუალებითა და ყველგან იერიშების პირდაპირ და ენერგიულად მოგერიებისათვის".

— ის საერთო დასკვნა, რომელსაც აკეთებს საბჭოთა პრესა გენუას მუშაობის პირველი დღეებისას, შემდეგია: გენუას დიპლომატებს სურთ, გარეშე თავიანთი საკუთარი საზეიმო განცხადებებისა, განაგრძონ დანგრევა და გაპარტახება სახელმწიფოებისა და ქვეყნებისა და პირველ ყოვლისა რუსეთისა და გერმანიის თუ დიპლომატიის არა, იარაღის საშუალებით მაინც. მთელი ქვეყნის მშრომელმა მასამ და პირველ ყოვლისა გერმანია—რუსეთისამ, უნდა შეაკავონ მოწინააღმდეგეთა ეს მოძრაობა.

კაპიტალიზმის სამეუფოში

ამერიკაში.

ლონდონი. გაზეთი „ნიუ იორკ ჰერალდი" აღნიშნავს, რომ ეკონომიურმა კრიზისმა და ვაშინგტონის კონფერენციის შედეგებისაგან გამოწვეულმა საერთო სასოწარკვეთილებამ დასცა ქვეყნის ნდობა მმართველ რესპუბლიკანურ პარტიისადმი. ეს პარტია ამაყობდა იმით, რომ იგი არის სამრეწველო განვითარების პარტია. ამავე დროს კი იგი უღონო აღმოჩნდა ამერიკაში დღეს არსებული მძიმე კრიზისის მოწესრიგების საქმეში. არც ერთი დაიმედება იმით, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, არ გამართლდა. რესპუბლიკანური პარტიის მდგომარეობა მით უფრო უარესდება, რომ რესპუბლიკანურ სენატორების ნაწილმა დემოკრატებთან ერთად შეკრა მიწათმოქმედთა ბლოკი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მსხვილი კაპიტალის ინტერესებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი შეადგენს პარტიის მთავარ ფუძეს. გაზეთი ამტკიცებს, რომ უახლოეს არჩევნებში აუცილებელია დემოკრატიული პარტიის გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს გარკვეული პოლიტიკა და არა ჰყავს გამოჩენილი მეთაურები. განხეთქილება რესპუბლიკა-

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-11 ყრილობა

ამხ. ლენინის სიტყვა

ც. კ. პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ

(გაგრძელება. იხ. „კომუნისტი № 86)

ორი მაგალითი.

მინდა ორი პრაქტიკული მაგალითი მოვიყვანო ჩვენი მმართველობის დასახასიათებლად. მე უკვე მოგახსენეთ, რომ უფრო სწორი იქნებოდა ამ მიზნისათვის აგველო ერთი რომელიმე სახელმწიფო ტრესტთაგანი.

ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ არ შემიძლიან მივმართო ამ სწორ გზას; მიზეზი ის გახლავთ, რომ საჭირო იყო მასალების შესწავლა სრულიად კონკრეტიულად დაწვრილებით ერთი ტრესტის შესახებ მაინც, სამწუხაროთ მე ამის საშუალება არ მქონდა, და ამიტომ ავიღებ ორ პატარა მაგალითს. ერთი მაგალითი ასეთია: მოსკოვის მომხმარებელი საზოგადოება ბრალსა სდებდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატს ბიუროკრატიზმში; მეორე მაგალითი გახლავთ „დონბასის" ცხოვრებიდან.

პირველი მაგალითი ცოტა შეუფერებელია, მაგრამ იგი მაინც გამოდგება ჩემი ძირითადი აზრის საილუსტრაციოდ. უკანასკნელი თვეების განმავლობაში, როგორც თქვენ მოგეხსენებათ გაზეთებიდან, მე არ მქონდა საშუალება უშუალო მონაწილეობა მიმეღო ჩვენს საქმეებში, მე არ ვმუშაობდი არც სახალხო კომისართა საბჭოში, არც ცენტრალურ კომიტეტში, ძვირად მოვინახულებდი ხოლმე მოსკოვსა და თვითეული ასეთი დროებითი სტუმრობის დროს, ჩემს ყურადღებას იპყრობდა ენერგიული, საშინელი ჩივილი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიმართ. რომ ეს კომისარიატი უხეირო და თავმოჭრილია. ეს ჩემთვის ყოველთვის აშკარა იყო, მაგრამ როდესაც საჩივრები განსაკუთრებით გამწვავდა, მე შევეცადე მომენახა კონკრეტიული შემთხვევა და გამომერკვია—რაშია საქმე, რა ჭირს ამ დაწესებულებას, რატომ არ იძვრის ადგილიდან ეს მანქანა.

მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებას უნდა ეყიდა კონსერვები; გამოცხადებულია საფრანგეთის მოქალაქე კონსერვებით. მე არ ვიცი, რა ინტერესი ამოძრავებდა აღნიშნულ მოქალაქეს, შეიძლება საერთაშორისო პოლიტიკური ანტანტის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ან კიდევ შეიძლება აპრობაცია პუანკარესი და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრებისა. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში, ვინაიდან ამ ბურჟუაზიის წარმომადგენელი აღმოჩნდა მოსკოვში და ჰყიდდა კონსერვებს.

ამაზე ადვილი რაღა იქნება? მაგრამ თურმე ნუ იტყვით, თუ ვიმსჯელეთ საბჭოსებურათ ისე, როგორც წესი და რიგია, ეს საქმე, კონსერვების ყიდვა, [illegible] საქმე სრულიადაც არ ყოფილა. მე არ შემეძლო უშუალოდ მეღევნებია თვალყური ამ შემთხვევისათვის და მოვაწყვე გამოძიება, მაქვს ამ ჟამად რვეული, სადაც ჩაწერილია, თუ როგორ ვითარდებოდა ეს შესანიშნავი ისტორია! დაიწყო იგი იმით, რომ თებერვლის 11-ს ამხ. კამენევის მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა ბიურომ მიიღო დადგენილება, რომ სასურველია შეძენილ იქნეს უცხოეთში სასურსათო საგნები. აბა რაღა თქმა უნდა, რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ ბიუროს გარეშე, როგორ შეუძლიანთ რუსეთის მოქალაქეებს გადასწყვიტონ ასეთი საკითხი? აბა რა წარმოსადგენია, რომ 4,700 პასუხისმგებელ ამხანაგს (ეს რიცხვი ნაჩვენებია მხოლოდ აღწერით) ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს გარეშე შეეძლო გადაეწყვიტა უცხოეთში სურსათის შეძენის საკითხი რასაკვირველია, ამის წარმოდგენა რაღაც ბუნებრივი ამბავი იქნებოდა. ამხ. კამენევმა ალბათ კარგათ იცის ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი სინამდვილე; ამიტომ იგი მაინცა და მაინც ვერ დაენდო პასუხისმგებელ მომუშავეთა დიდ რიცხვსა და დაიწყო იმით, რომ ორივე ხელი ხარს რქებში ჩაჰკიდა, (ხარს თუ არა პოლიტიკურ ბიუროს მაინც); და მყისვე მიიღო (მე არ გამიგია, რომ ამის შესახებ რაიმე კამათი ყოფილიყო) რეზოლიუცია: „მიექცეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ყურადღება იმ გარემოებას, რომ სასურველია უცხოეთიდან სურსათის შემოზიდვა; ამასთანავე ბაჟი.. და სხვ." მიექცა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ყურადღება. საქმე წინ მიდის. ეს მოხდა თებერვლის 11-ს. მაგონდება: დაახლოვებით თებერვლის გასულს მოსკოვში გახლდით და ერთბაშად მომესმა გოდება, პირდაპირ საშინელი გოდება. გოდებდნენ და მოსთქვამდნენ მოსკოველი ამხანაგები. რაშია საქმე? სურსათი ვერ გვიყიდია. რატომ? მიზეზი საგარეო ვაჭრობის კომისარის დავარდნილობაა და მისი გაჭიანურებით საქმის წარმოება. მე კარგა ხანი არ ვღებულობდი მონაწილეობას საქმეებში და მაშინ არ ვიცოდი, რომ ამის შესახებ იყო პოლიტიკური ბიუროს დადგენილება და მხოლოდ უთხარი საქმეთა მმართველს: მონახეთ ქაღალდი და მაჩვენეთ მე. და დასრულდა ეს ამბავი იმით, რომ როცა ამხ. კრასინი ჩამოვიდა, კამენევი მას მოელაპარაკა, საქმე მოგვარებულ იქნა და ჩვენ კონსერვები ვიყიდეთ. ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება. რომ კამენევსა და კრასინს შეუძლიანთ რიგიანი მოლაპარაკების წარმოება და იმ პოლიტიკური ხაზის სწორი განსაზღვრა, რომელსაც პოლიტიკური ბიურო მოითხოვს, ამაში სრულიადაც ეჭვი არ მეპარება.

რომ პოლიტიკური ხაზი ვაჭრობის სფეროშიაც სწყდებოდეს კამენევისა და კრასინის მიერ, ჩვენ გვექნებოდა საუკეთესო სახელმწიფო საბჭოთა რესპუბლიკების შორის მთელ მსოფლიოში. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ თვითეული უბრალო სავაჭრო გარიგების გამო ბაზარი ჩაება პოლიტიკური ბიუროს წევრს ამხ. კამენევსა და კრასინს (მით უფრო, როცა უკანასკნელს თავზე აწევს დიპლომატიური მუშაობის წარმოება გენუას კონფერენციის წინ, რომელიც მოითხოვს განუზომელ შრომას) და წაათრიო ეს ამხანაგები კონსერვების საყიდლად საფრანგეთის მოქალაქისაგან. ასე მუშაობა, ამხანაგებო, შეუძლებელია, ეხლა მე მაქვს გამოძიება ამ საქმის შესახებ; მე მაქვს ორი გამოძიებაც: ერთი მოახდინა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველმა გორბუნოვმა და მისმა თანაშემწემ მიროშნიკოვმა, ხოლო მეორე გახლავთ საქმე, რომელსაც აწარმოებდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

როგორ მოხდა ეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, კონსერვების საყიდლად საჭირო იყო ორი გამოძიება, კამენევისა და კრასინის ჩარევა და პოლიტიკური ბიუროს დირექტივი. რა გვაკლდა? პოლიტიკური ხელისუფლება? არა. ფული მოინახა, ასე რომ პოლიტიკური ხელისუფლებაც იყო და ეკონომიურიც. ყველა დაწესებულება თავის ადგილზეა. მაშ რაღა გვაკლია? გვაკლია კულტურიოსნობა. მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოების მომუშავეთა 99 მესედი (რომელთა წინააღმდეგ მე არაფერი მაქვს და ვსთვლი მათ ჩინებულ კომუნისტებათ) და საგარეო ვაჭრობის კომისარიატის თანამშრომელნი ვერ მიუდგენ საქმეს კულტურულად.

ჩვენს ბრძოლაში უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტებისათვის საჭიროა საზრიანი და მოფიქრებული მუშაობა. ჩვენი კომუნისტები სწორუპოვრად მოგითხრობენ ყველაფერს რევოლიუციონური ბრძოლის შესახებ, ჩინებულათ იციან მსოფლიო რევოლიუციონური ბრძოლის მდგომარეობა. მაგრამ არ იციან როგორ უნდა ვიხსნათ თავი საშინელი გაჭირვებისა და სილატაკისაგან, არ იციან რომ ამისათვის უმთავრესად საჭიროა საზრიანი გონება, მოფიქრებული ნაბიჯები, კულტურიოსნობა და წესიერება. პასუხისმგებელ კომუნისტებს ჩვენ იმაში ბრალს ვერ დავსდებთ, რომ ისინი არა კეთილსინდისიერათ ეპყრობოდნენ საქმეს,—ეს უსამართლობა იქნებოდა. დიდი უმრავლესობა მათში—99 პროცენტი—არა თუ კეთილსინდისიერია, არამედ მათ მრავალ გზით დაუმტკიცებიათ თავისი ერთგულება რევოლიუციისადმი უძლიერესად მძიმე პირობებში, როგორც ცარიზმის დროს, ისე რევოლიუციის შემდეგ. საჭიროა რომ უბრალო სახელმწიფოებრივ საქმეს მიუდგეთ კულტურულად, უნდა გავიგოთ, რომ ეს არის სახელმწიფოებრივი საქმე, სავაჭრო საქმე; თუ რაიმე დაბრკოლება წინ გვეღობება უნდა აღმოვაჩინოთ იგი, და უილაჯობისა და საქმის გაჭიანურებისათვის დამნაშავე პასუხისმგებაში უნდა მივსცეთ სასამართლოს წინაშე. მე დარწმუნებული ვარ პროლეტარული სასამართლო დასჯის ყველას, მაგრამ ჯერ დამნაშავე უნდა აღმოაჩინო. ამ მხრივ კი, კისერი გამაგდებინეთ ერთ დამნაშავესაც თუ ნახავთ; დააცქერდით ამ გარემოებას: დამნაშავე არ არის, არამედ არის ფუსფუსი, უილაჯობა, აღიაქოთი და აბდაუბდა... არავინ იცის როგორ მოკიდოს საქმეს ხელი, არავის გაეგება, რომ სახელმწიფო საქმეს ასე უნდა მიუდგე და არა ისე. ხოლო მთელი თეთრგვარდიელობა და საბოტაჟნიკები სარგებლობს ამ მდგომარეობით. ჩვენ გვქონდა ერთი პერიოდი გახელებული ბრძოლისა საბოტაჟნიკების წინააღმდეგ; ეს ბრძოლა ეხლაც დღის წესრიგში სდგას; რა თქმა უნდა სწორია, რომ საბოტაჟნიკებს უნდა ვებრძოლოთ; მაგრამ განა შესაძლებელია მათ წინააღმდეგ ბრძოლა იმ მდგომარეობაში, რომლის შესახებაც მე მოგახსენებთ? შეუძლებელია. ეს მდგომარეობა ყოველგვარ საბოტაჟზე უარესია; როცა ორი კომუნისტი დაობს იმის შესახებ თუ როდის მიმართონ პოლიტიკურ ბიუროს პრინციპიალური დირექტივისათვის სურსათის საყიდლად, საბოტაჟნიკისათვის ამ დავაში ჩნდება გასაძრომი ჭუჭრუტანა; და თუ ამ უკანასკნელს ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა და ასეთი ჭუჭრუტანა შეამჩნია, სხვა არა უნდა რა,—იქვე შიგ გაძვრება. თუ რომ ბედმა მოგვიძღვნოს და ცოტათ თუ ბევრათ მოხერხებული საბოტაჟნიკი ერთ ერთ კომუნისტს, ან ორივეს მორიგეობით გვერდში ამოუდგეს და მათ მხარი დაუჭიროს, გათავდა, საქმე დაღუპულია სამუდამოდ. ვინ არის დამნაშავე? არავინ. ვინაიდან ორი პასუხისმგებელი კომუნისტი, თავდადებული რევოლიუციონერები ჩხუბობენ წარსული წლის თოვლისათვის, დაობენ იმის შესახებ, რომელ მომენტში შეიტანონ პოლიტიკურ ბიუროში კითხვა რათა მიიღონ პრინციპიალური დირექტივი სურსათის საყიდლად.

აი როგორ სდგას კითხვა და რაში მდგომარეობს მთელი სიძნელე. თვითეულმა ნოქარმა, რომელსაც გაუვლია მსხვილი კაპიტალისტური წარმოების სკოლა, იცის თუ როგორ მოაგვაროს საქმე; ხოლო პასუხისმგებელ კომუნისტთა 99 პროცენტმა არც იცის და არც სურს შეიგნოს, რომ მას არაფერი გაეგება, რომ საჭიროა ანბანიდან სწავლის დაწყება. თუ ეს ვერ გავიგეთ, თუ ხელახლა არ დავიწყეთ მოსამზადებელი კლასიდან, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავჭრით იმ ეკონომიურ ამოცანას, რომელიც ამ ჟამად საფუძველია მთელი ჩვენი პოლიტიკისა.

მეორე მაგალითი გახლავთ „დონბასი". მოგეხსენებათ, რომ „დონბასი" ცენტრია, ნამდვილი საფუძველია მთელი ჩვენი ეკონომიკისა, არავითარი ლაპარაკი მსხვილი მრეწველობის აღდგენაზე ჩვენში, ან სოციალიზმის ნამდვილ აღმშენებლობაზე (და მისი შენება შეუძლებელიც არის სხვანაირად თუ არა მსხვილი მრეწველობის საშუალებით) არ შეიძლება თუ ჩვენ არ აღვადგინეთ და შესაფერ დონეზე არ დავაყენეთ „დონბასის" მრეწველობა. ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ ამას ვადევნებდით თვალყურს.

ჩვენი დღევანდელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავაყენოთ მუშაობა წესიერად, დროით გადავსწყვიტოთ ხოლმე ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც კი თავს იჩენს და ამასთანავე არ ჩამოვაშოროთ ადმინისტრატიული მხარე პოლიტიკას.

ეს ასე უნდა მოეწყოს, ვინაიდან პოლიტიკა და ადმინისტრატიული სფერო დამყარებულია იმაზე, რომ მთელი ავანგარდი დაკავშირებულ იქნეს პროლეტარიატისა და გლეხობის მთელ მასასთან, თუ ვინმე ამას დაივიწყებს, თუ ვისმე გაიტაცებს მარტო ადმინისტრატიული მხარე—ეს იქნება დიდი უბედურება შეცდომა, რომელიც მათ მოსვლია. მცირეა სხვა შეცდომებთან, რომელიც ჩვენ ჩაგვიდენია, როდესაც ცენტრალურ კომიტეტში იყო ერთსულოვანი მოთხოვნილება: „დაეთხოვეთ იმ ჯგუფს, რომელიც იქ მუშაობს, იყოს ცენტრალურ კომიტეტში მცირე კონფლიქტებიც, ვინაიდან „დონბასი" არ არის შემთხვევითი რაიონი, არამედ ისეთი, რომლის გარეშე სოციალისტური მშენებლობა დარჩება მხოლოდ კეთილ სურვილად",—მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელი ჩვენი პოლიტიკური ხელისუფლება, ცენტრალური კომიტეტის მთელი ავტორიტეტი საკმარისი არ იყო.

ამ შემთხვევაში შეცდომა იყო ადმინისტრატიულის მხრივ; რასაკვირველია ამას გარდა იყო კიდევ რამდენიმე სხვა შეცდომა.

აი მაგალითი იმისა, რომ სიმძიმის ცენტრი არის არა პოლიტიკურ ხელისუფლებაში, არამედ მართვა გამგეობის ცოდნაში, რომ მთავარი არის მომუშავეთა სწორი განაწილება, მათი საქმეზე დაყენება და წვრილმანი უთანხმოების თავიდან აცილება ისე, რომ არ შესწყდეს სახელმწიფოებრივი სამეურნეო მუშაობა.

(დასასრული იქნება).

ნურ პარტიაში უფრო გამწვავდა ვაშინგტონის ხელშეკრულების განხილვის დროს.

ამერიკის ეკონომიურ მდგომარეობას გაზეთი შემდეგ ნაირად ასურათებს: სიმართლეს პირდაპირ უნდა უყუროთ და თვალი არ მოვარიდოთ. მდგომარეობა არ უმჯობესდება, პერსპექტივები ბევრად უფრო ცუდია, ვინემ რამოდენიმე თვის უკან იყო. სავსებით გაქრწყლდა ის იმედი, თითქოს ვაშინგტონის საერთაშორისო კონფერენცია გადაჰქრით გააუმჯობესებდა მდგომარეობას. ამერიკას მოუხდება მძიმე პირობების გადატანა. ამერიკის ქალაქებში მილიონობით არიან უმუშევარნი. მრავალ ადგილას ფაბრიკები აღარ მუშაობენ, რადგანაც აღარ არის ბაზარი, სადაც შეიძლებოდეს ამერიკის სასოფლო მეურნეობის საგნების გასაღება. და აქედან აუცილებელია ერთი დასკვნა—გაიზზარა მძართველი პარტია, რომელიც სდგას კრიზისის საშიშროების წინაშე.

ქრონიკა

◆ **დამზღვევ კასის მონაწილეთა სიკვდილიანობა.** თებერვლის განმავლობაში მოკვდა 35 წევრი, ამათში 27 მამაკაცი და 8 ქალი. სიკვდილის მიზეზთა შორის პირველი ადგილი უჭირავს პარტახტიან სახადს—13 შემთხვევა, შემდეგ ფილტვების ანთება—4 შემთხვევა, ტუბერკულიოზით დიზინტერიით, მუცლის სახადით ორ-ორი შემთხვევა და სხვა სნეულებებით—10 შემთხვევა. დასაფლავებისათვის გაცემულია 52 მილიონი მანეთი. პროფკავშირთა შორის სიკვდილიანობა ნაწილდება ამ გვარად: საბჭოთა მომუშავეები—6 კომუნალური მეურნეობის და მედიკო სანიტარული შრომის კავშირებში ოთხ ოთხი, სოც-კულტურისა 3, მკვებავთა, მეთამბაქოეთა, მიწა ტყის, სახალხო კავშირის, ხელოვნების მუშაკთა, ფეიქართა და მელითონეთა კავშირებში ორ ორი შემთხვევა, ამშენებელთა, მკერავთა, მბეჭდავთა და ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირებში თითო შემთხვევა.

◆ **სააღდგომო საჩუქარი ვოლგის მხრის ბავშვებს.** რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა გასცა 15 მილიონი ვოლგის მხრის ბავშვების სავადმყოფოს სააღდგომო კვების გასაუმჯობესებლად. კვირას და ორშაბათს ბავშვებს ჩვეულებრივ სააღდგომო კვების გარდა დაურიგდა კვერცხები, და კულიჩები, კაკაო, ერბო, კონფეტები, თხილი: ამხ. რუბენის ინიციატივით, იმ სახლის მცხოვრებლებმა, სადაც თითონ ცხოვრობს, მოკრიბეს შემოწირულებანი კულიჩებისა და სხვა საჭმადი პროდუქტების სახით ვოლგის მხრის ბავშვების სავადმყოფოს სასარგებლოთ. მოკრებილი პროდუქტები საკმაო რაოდენობით დაურიგდა ბავშვებს.

◆ **საქართველოს ნავთსადგურებში.** ბათუმის [illegible] მოვიდა ნავთსადგურში: 8-9 აპრილს ინგლისის გემი „ჟორჟი" კონსტანტინეპოლიდან სხვა და სხვა ტვირთით 1000 ტონით და 40 მგზავრით და 2 იალქნიანი გემი 360 ფუთი სიმინდით. 11 აპრილს მოვიდა იტალიის გემი „პერსია" კონსტანტინეპოლიდან 750 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 14 მგზავრით და 4 იალქნიანი ხომალდი სხვადასხვა ტვირთით 13.825 ფუთის წონით. 12 აპრილს მოვიდა კონსტანტინეპოლიდან იტალიის გემი „უმბრია" და სერბიის „კოსოვო" 848 ტონი სხვადასხვა ტვირთით და 75 მგზავრით და 8 იალქნიანი გემი 800 ფუთი სხვადასხვა ტვირთით.

◆ **გავიდნენ ნავთსადგურიდან:** 8-9 აპრილს 9 იალქნიანი გემი 1595 ფუთი სხვადასხვა ტვირთით, 11 აპრილს საფრანგეთის გემი „სანარია" და იტალიის „კარნარო" ორთავე კონსტანტინეპოლის 93 ტონი სხვადასხვა ტვირთით და 25 მგზავრით და 10 იალქნიანი გემი 4733 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და თორმეტ აპრილს ამერიკის გემი „კლონტარო" და იტალიის „ალდო" ორთავე კონსტანტინეპოლს 5 ტონი სხვადასხვა სახის ტვირთით და 15 მგზავრით და 6 იალქნიანი გემი 1630 ფუთი ნავთით. 12 აპრილს 12 საათზე ნავთსადგურში იდგა 7 ორთქმავალი 89 იალქნიანი გემი.

◆ **მომრიგებელი კამერები.** განზრახულია პროფკავშირთა ცენტრთან დაარსდეს მომრიგებელი კამერები და მედიატორო სასამართლოები, სადაც უნდა სწყდებოდეს დაპატიმრებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა ასრულების საკითხები. მათი დადგენილება კასაციური წესით შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატში.

◆ **საკონფლიქტო კომისია.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საკონფლიქტო კომისია იქმნა გაუქმებული, და მის ნაცვლად დაარსდა საკონფლიქტო კომისია შრომის სახალხო კომისარიატთან პროფკავშირთა საბჭოს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მონაწილეობით.

◆ **უმუშევართა დაზღვევა.** მოხდა უმუშევართა დაზღვევა უფრო ფართო საწარმოვო კავშირებისა. ყველა უმუშევრებმა მიიღეს ძირითადი სამუშაო ქირის ნახევარი. დაზღვევის საშუალების გასაძლიერებლად გამართულ იქმნა წარმოდგენა. იანვრის განმავლობაში დაზღვეულია 221 კაცი, რომელთაც მიეცა 72.856 ათასი მ.ნ. უმეტესი რიცხვი დაზღვეული 1 0 კაცისა არის მკვებავთა კავშირის. მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა მომუშავეებს 52 კაცის რაოდენობით. თებერვლის განმავლობაში გაცემულია 45.560 ათასი 144 უმუშევრებზედ.

◆ **სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიმღები კომისია** მოეწყო და შეუდგა მუშაობას. მიღების შემდეგ მოხდება საბოლოო დანაწილება ფუნქციების შესაფერ სახალხო კომისარიატთა შორის.

◆ **კანონთა კოდიფიკაცია** 15 სექტემბრიდან დამთავრებულია შრომის სახალხო კომისარიატის მიერ და ახლო მომავალში გამოვა მეორე ტომი შრომის კანონებისა.

◆ **კანონმდებლობა შრომის სფეროში.** მარტის განმავლობაში გამოქვეყნებულია 20 კანონი და ცირკულიარი, რომელთაგან 17 შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, 18 თბილისის ქალაქის აღმასკომის, 1 სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ერთიც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

ხელოვნება.

— **„ლონდა".** დღეს, რევ. მხატვრულ თეატრში წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის „ლონდა".

— **საეკლესიო განძეულობის შეფასება.** მთავარ სამხატვრო კომიტეტის სამხატვრო სექციის გამგეს მინდობილ დათვალიერება საეკლესიო განძეულობის და მათი მხატვრული მხარეების შეფასება.

— **სახელმწიფო თეატრების მმართველობისაგან.** სახალხო განათლების კომისრის განკარგულებით სახელმწიფო თეატრებში შესასვლელად ყველა აქამდი გაცემული მანდატები 25 ამ აპრილიდან გაუქმებულია. იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც აქვთ მინიჭებული უფლება თეატრებში შესვლისა უნდა ხელახლათ შეეცადონ და მიიღონ 25 აპრილიდან ახალი ბილეთების წიგნაკები თეატრების სამმართველოში.

◆ **ახალი მწერლობის კავშირის წევრთა საზოგადო კრება** კვირას, 24 აპრილს, დღის 12 საათზე, ხელოვანთა სასახლეში, დანიშნულია თფილისში მყოფი, ახალი მწერლობის კავშირის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია „პოეზიის დღის" საკითხი და კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრთა დამატებითი არჩევნები.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ცაგარელის ისტორიული დრამა „ქართველი დედა".

◆ **სამხატვრო აკადემია** უკვე შეუდგა მუშაობას. ამორჩეული და დამტკიცებულია რექტორი და პრორექტორი. მახლობელ დღეებში დაამტკიცებენ ფაკულტეტის დეკანებს.

◆ **დღეს თეატრებში.** სახელმწიფო ოპერა—ბალეტი, რუსთაველის თეატრი—სომხური წარმოდგენა, პატარა თეატრი—თურქული წარმოდგენა, რევ. მხატვრული თეატრი—ლონდა, სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა, საკამერო თეატრი—სომხური წარმოდგენა, მუშათა ცენტ. კლუბი—კონცერტი ლექცია, მუშ. ცენტრ. კლუბის ახალი თეატრი—კინო, საქ. წითელი ლაშქრის ცენტრალ. კლუბი სომხური წარმოდგენა, ზოგების თეატრი—იუმორისტული პროგრამა. პროფკავშირთა საბჭოს დარბაზი კონცერტი. კონსერვატორია კონცერტი, ცირკი ჭრელფეროვანი პროგრამა, არტისტო, მასკარადი სარკის—მათხოვარი ქალი, კინო არსი სოლოლაკში. ნიუიორკის საიდუმლოებანი, მე-9 სერია.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი

„მადამ X"

სოფიო რომანიშვილ-დგებუაძის საღამო

სამშაბათს, 18 აპრილს, სახალხო სახლში გაიმართა დამსახურებულ სცენის მოყვარე ქალის სოფიო რომანიშვილ დგებუაძის საღამო. პირველათ სახალხო სახლის სცენაზე, შალვა დადიანის რეჟისორობით, წარმოდგენილი იქმნა „მადამ X". პიესა ლირიული დრამაა და სანტიმენტალური ემოციებით სავსე. შიგადაშიგ არის კატასტროფული მომენტები ოჯახის ნამუსიანი ტრადიციის და ცრემლიანი ტკივილები სცენისა და პარტერის შეერთებით.

აკაკი ხორავა, (ფლერიო) ამ უბედური ქმრის და კეთილი მამის, ამ ცოლის ღალატით და მისივე სიყვარულით დატანჯული ადამიანის ხორცშესხმულობას ქართულ სცენაზე უსათუოდ ჰპირდება მესხიშვილის ტემპერამენტი და სცენის პროცესუალური გამძლეობა. აკაკი ხორავა, რომელიც ასრულებდა ფლერიოს როლს, საპატიო ადგილს დაიკავებს პროფესიონალ მსახიობთა შორის. მას აქვს სცენისათვის სიყვარული, არტისტული თვისებები, ხმა და საამისო ნერვები. მაგრამ ჯერ კიდევ მას არ აქვს ნახული თავის თავი და ალბათ ეს არის მიზეზი, რომ მისი ფლერიო ვერ იყო გამართული. მისი დიქცია ნერვიულობის დროს და უფრო, ორმოცდაერთ გრადუსამდე ასვლა, უკეთ გადასვლა ანორმალურ მომენტში—ხშირათ დისონანსიან აკომპანიმენტს აძლევდა როლის ხვეულების ჰარმონიულობას. ამ როლისათვის საჭიროა, მეტი ბუნებრივი ალლო და პათოსი, მეტი სიღრმე მიმიკა და ნაკლები ბუტაფორიულობა ჟესტიკულიაციის. აგრეთვე უნდა შევნიშნოთ, რომ სრულებით არ უვარგოდა გრიმი. გრიმი უმთავრესი გაგებაა როლის, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ქონდა დამაკმაყოფილებელი შტრიხები.

სოფიო რომანიშვილი-დგებუაძე (ჟაკლინა, ცოლი ფლერიოსი) ძველი სცენის მოყვარეა და საკმაოთ იცნობს სცენას. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი განსახიერება ჟაკლინასი, რომელიც ოპიუმითა და კოკაინით გამოწვეულ გალიუცინაციებში ეძებს საყვარელ შვილის სახეს და დაკარგულ ბედს, რომელსაც კლავს ურცხვი შვილის ნახვის სურვილი და ქმრის შეუბრალებლობა და ამ მელანქოლიით კარტით მკითხაობაში ფიქრობს მოსალოდნელ წამების და ულმობელ ხვედრის გამოცნობას—მოითხოვდა მეტ ენერგიას, მეტ პათოსს და სითბოს.

ალ. მეტრეველი (რაიმონდი, შვილი ფლერიოსი) ძლიერ ეჩვენოდა. ორეულობა ჰაიურელის („სულელის") ასე პირდაპირ გადაღება სხვის მიერის, უსათუოდ მარცხათ უნდა ჩაეთვალოს მეტრეველს. მას არ ქონდა საკუთარი სახე, თმა, განსაკუთრებით თვალები, გაღიმება და სიარულიც კი. უნდა ჩანდეს მსახიობის ინდივიდუალური ინტუიცია ყველა როლში და როლს ალაპარაკებდეს საკუთარი სულით.

ადამიძე (ექიმი შენელი, მეგობარი ფლერიოსი) უსათუოდ ნიჭიერია. ადამიძის ექიმი შენელი, თავის კულტურული თვისებით, შეხამებული და კეთილშობილური გრიმით, დიქციით (თუმცა აუცილებლათ ესაჭიროება ხმის დამუშავება სწორმეტყველებისათვის), თავის დაჭერით და სამოსით, ჭეშმარიტათ, რომ უტყუარ არტისტის ნიშანს ატარებდა. განსაკუთრებით კარგი იყო მეოთხე მოქმედებაში სასამართლოში ჟაკლინას გასამართლების დროს, დამ წრეთა შორის რომ უხმოთ იხვდა და პროცეს ადევნებდა თვალს.

ნინიძე (ნოელი, ძველი მეგობარი ფლერიოსი) კარგი იყო. მხოლოდ გრიმი როგორღაც არ უხდებოდა. ერთი შეხედვით თითქოს ნოქარს გავდა. უსათუოდ უნდა შეისწავლოს საკუთარ სახეს და გრიმის შედეგებს, მიუხედავათ ამისა, ნინიძე პირველათ ვნახე სცენაზე და კმაყოფილებით.

დორა ლორიას (ელენე, საცოლო რაიმონდის) გულუბრყვილობა და ბავშური სიყვარულით ლაპარაკი და საერთოდ მისი ქცევა უშანო შთაბეჭდილებას სტოვებდა. მხოლოდ (როგორც თითქმის ყველას) ხშირათ საჭიროებდა სუფლიორის გახსენებას.

სოსო რომანიშვილი (ჰერისარი) პირდაპირ შესანიშნავი იყო. მისი გრიმი: ნახევრათ შიშველ თავზე შემთხვევით დარჩენილი გრძელი ქოჩორი, ულვაშებ გაპარსული, მხოლოდ ნიკაპზე დატოვებული პატარა წვერი, მისი სიარული, ჩაცმა, სათვალე, ზრდილობიანი გაიძვერას ქცევა—ზედმიწევნით არტისტული ტალანტით იყო გასცენიურებული. მაგრამ არ ეპატიება როლის არ ცოდნა. თუმცა ამ ნაკლს ის თავის არტისტული ღირსებით თითქოს ფარავდა, მაგრამ ფაქტი მაინც დისონანსათ რჩებოდა.

ი. ელიაშვილმა მერიველის, ზრდილობიან გაიძვერის ჰერისარის ჩია „სანჩო-პანჩოს" ტიპიურობა, შეიძლება ითქვას უნაკლოთ მოგვცა. ქონდა ხმის მოქცევის დროს ნაკლი, მაგრამ საერთოდ როლის ფსიხოლოგიას სათანადო მიმიკით შლიდა.

შალვა დადიანი (ლაროკა, საყვარელი ჟაკლინასი) თავის სიმაღლეზე იდგა.

სხვები საშუალოთ უწყობდენ ხელს ანსამბლის მსვლელობას (მისაღებია მხედველობაში „სცენის მოყვარე").

პიესას ეტყობოდა რეჟისორის ხელი და ეშხი. დადგმულიც კარგი იყო და საერთოდ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. დიდი იყო ანტრაქტები. საჭიროა არის სასროლი იარაღების წინასწარ მომზადება, რომ არ განმეორდეს ისეთი ნიმუში დამარცხების, როგორიც ნახა თვით შალვა დადიანმა, (ლაროკა) რომელიც უნდა მოეკლა რევოლვერით ჟაკლინას, მაგრამ... ცოტა ხნის შემდეგ კულისებში ფიცრები „დაარტყეს" ერთმანეთს.

ძ. გ.

ამხ. პეტრე*)

(დღეი-შარჟი)

5.

დილის 5 საათი იყო როცა სხდომა დაიხურა.

გათენების ხანს თავის ბინაზე მოსული ამხ. პეტრე ჯერ კიდევ არ იხსნიდა ტანისამოსს დასაწოლად: ის მიუჯდა საწერ მაგიდას, ამოიღო თავის პორტფელიდან რაღაც ქაღალდები და შეუდგა თვალიერებას.

—... როცა, შენ ძილი აღარ გინდა, რომ ამ ალიონზე კიდევ ზიხარ და მუშაობ? უთხრა გაკვირვებით, ანთებული ლამფის შუქით გაღვიძებულმა ცოლმა ამხ. პეტრეს.

ამხ. პეტრემ, თითქო არ გაუგონია ცოლის გამოლაპარაკება. ისევ განაგრძო მუშაობა, და პასუხიც არ მიუცია მისთვის.

—... არ გესმის, მე შენ გეუბნები!..

— რა გინდა, კაცო: მე ცოტა წავიძინე იქ და ეხლა არც ძილის ხასიათი მაქვს და აღარც დრო ამისთვის.

—... როგორ თუ წაიძინე!.. სად წაიძინე!!. მე, მე აქ მარტოობა მკლავს მარტო ვყურყუტებ მთელი დღე, მთელი ღამეები... ვფიქრობდი ნაშუაღამევს მაინც მოვა, ჩემთან იქნება, ალერსით დამატკბობს მეთქი და შენ კი თურმე... შენ გაგისტყდა მიწა!—თურმე სხვებთან მიდიხარ, სხვებთან ითავებ ძილს,—მიაყარა გაცხარებით საშინლად დაეჭვიანებულმა ცოლმა და ამოუშვა ქვითინი.

— არა დესპინე, ჩემო დესპინე!.. რა სთქვი ეს!.. მე რომ ამ გვარი რამეები არ მეხერხება, ეს შენ განა არ იცი?!. მე მაქვს განა მაგისთვის დრო, კიდევაც რომ შემეძლოს ასეთი რამეების ჩადენა?

— კი, კი პეტრე! რომ შენი მოქმედება საეჭვოა ამ უკანასკნელ ხანებში, ეს ჩემთვის ახლა საიდუმლო აღარ არის... ყოვლად შეუძლებელი არის, რომ დღე არ გყოფნიდეს და მთელ ღამეებსაც კრებებზე ატარებდე... არა! ამაში აწი ვეღარ დამაჯერებ შენ!!.

—... დესპინე! გეუბნები პატიოსანს, ჩემს პატიოსან სიტყვას, რომელშიც შენ ეჭვი დღევანდლამდის არ შეგიტანია, მე აქამომდის ვიყავი სხდომაზე; იქ დილილს ცოტა მიმძინებოდა, რაზედაც შესაფერი გაკიცხვაც მივიღე თავმჯდომარისაგან, ხოლო თუ ეხლა არ ვწვები, ეს იმიტომ, რომ ამ დილით 8 საათზე, კიდევ მაქვს ერთი პატარა, მაგრამ ძლიერ საჭირო და საჩქარო კრება და ვფიქრობ, ძილი რაღაც საათნახევარში, რომელიც მე დამრჩენია ხსენებული კრებამდის, აღარ ღირს. ვინ იცის კიდევ, შეიძლება საათნახევარში არც კი გამომეღვიძოს...

— კიდევ კრება ამ დილით! როგორ, თქვენ გადაირიეთ!!! ერთი ჭკუათა მყოფი კაცი თქვენ შორის აღარ დარჩა, რომ ეფიქრა, დღე და ღამის გასწორებით, გამუდმებით სხდომა—კრებების მართვა, სხდომა—კრებებზე ყოფნა არ შეიძლება, სასურველიც არ არის!. თქვენ უბედურებო, მთელ თქვენს სიცოცხლეს სხდომებს ანდომებთ და როდის გინდათ იმუშაოთ, საქმე აკეთოთ და სიცოცხლე შეიტანოთ ამ მუშაობა საქმიანობის ნაყოფით?

ამით გათავდა ცოლის „დავა" ქმართან.

მეორე დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულ სხდომის გათავების შემდეგ, თავის დაწესებულებაში მოსულ ამხ. პეტრეს კაბინეტში დახვდა მის სახელზე მიღებული შემდეგი შინაარსის ქაღალდი:

„ცეკასთან არსებული განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილი" ამხ. პეტრეს. „წუხელი 11 საათზე საყარაულოში გამოუცხადებლობისა და პარტიულ რევოლიუციონური მოვალეობის შეუსრულებლობის გამო გეცხადებათ საყვედური და ჯარიმდებით: რომ [illegible] ზედიზედ გამოხვალთ საყარაულოში ხვალ ღამის 12 საათიდან".

—... ეგეც თქვენ დალოცვილებო!.. ნაწილ-ნაწილათ, დამჭერით აბა!?—მწუხარებით ჩაილაპარაკა დაუსახურებელ სასჯელის მოლოდინში ამხ. პეტრემ და შეუდგა მუშაობას თავის დაწესებულებაში.

6

ასე გრძელდებოდა დღეები.

ამხ. პეტრე სრულებით მოსწყდა პირად ცხოვრებას, წაიშალა მისთვის „მე"; პეტრესთვის აღარ არსებობს თეატრი, ცირკი, მუსიკა, კონცერტი და სხვადასხვა „საღამოები". ამხ. პეტრესთვის მოკვდა როგორც ასეთი—ოჯახიც; მას აღარ აქვს ერთი წუთი თავისუფალი დროც კი იმისთვის, რომ შინ მივიდეს, საყვარელ ცოლს და თავის ორ პაწია ბავშვს ცოტა ხნით მიეალერსოს, დასტკბეს მათი ყურებით, მათთან ლაპარაკით და თითონაც დაატკბოს, ასიამოვნოს ისინი.

—...გენაცვალე რა ამბავია, რა ამბავია ეს!!

— ...გინახავს, მოგსწრია კაცს ასეთი!!

—...ქმარს სახლში სრულებით ვეღარ ვხედავ; როცა არის, იგი ჩვენთვის, ოჯახისთვის, მაშინაც არ არსებობს, სულ რაღაც ქაღალდებს ჩაკირკიტებს, ან და ჩაფიქრებული, გაშტერებული ზის და რამდენიც არ უნდა ელაპარაკო, ხმას არ გაგცემს, ყურადღებას არ მოგაქცევს..

—...რაღაც საშინელი, ხდება ჩემ პეტრეს თავზე!.

შესჩიოდა დესპინე მწუხარებით პეტრეს ამხანაგების ცოლებს.

ამხანაგებიც ამჩნევენ, რომ პეტრე მუდამ ჩაფიქრებულია, მრავალ კითხვებს ამხანაგებისას უპასუხოთ სტოვებს, დუმილით ხვდება მათ; თუ მან ვინმეს რამე აღუთქვა, არ ასრულებს, მუდამ ავიწყდება. ხშირად უარსაც ამბობს მიცემულ სიტყვებზე, დანაპირებზე.

— პეტრე, ამხ. პეტრე...

— იცი ბიჭო, რომ ჯანმრთელი, მკვირცხლი, გონიერი და მუდამ ფხიზელი ჩვენი ამხანაგი პეტრე სრულებით გამოიცვალა?! ეუბნებოდა ამხანაგი პროვინციიდან ჩამოსულ ერთ ამხანაგს, რომელიც კარგად იცნობდა პეტრეს და იმედებსაც დიდს ამყარებდა მაზე.

— მართლა გუშინ შევხვდი და გამაკვირვა; ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ნოლჩა თეთრი გარევია თმებში, გაჰღარავებულა... ჩამომხმარა, თვალები ჩასცვენია,—ბუნებით ლამაზ სახე შესცვლია.

— ეს რა არის. მაგას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ.. ამხ. პეტრემ დაჰკარგა სიფხიზლეც, გაქრიახობაც, სიცოცხლიანი მუშაობაც და ჩვეული სისწრაფე დაკისრებული საქმეების ასრულებაში. ერთი სიტყვით ის მახინჯდება როგორც ფიზიკურად ისე სულიერათ.

ამხ. პეტრეს დასჩემდა საშინელი სიბეცე, სიბლუე.

მარტო მომავალი, ან თავის კაბინეთში თუ თავის ბინაზე ოთახში მჯდომი (ეს უკანასკნელი იშვიათად ხდებოდა) იგი ხშირად ლაპარაკობს ხოლმე ხმა მაღლა, თავისთვის:

—... „იქ პრეზიდიუმის კრება... იქ კომისიის სხდომა... მიტინგიც.., საყარაულოშიც გასვლა... მიწეობილი გეგმის გამომუშავებაც სწრაფად" და სხვა.

მისი ამ განმარტოვებული ლაპარაკის მოწამე ამხანაგები მოურიდებლად ეუბნებიან ერთმანეთს:

— ბიჭო, იცი შენ, რომ ამხ. პეტრე გიჟდება?!

— საწყალი; ამბობენ, რომ გადაირევაო.

— სულ ბუტბუტობს, სულ ვიღაცას ედავება მარტოდ მყოფი.

7

ერთ საღამოს სხდომა ადრე გათავებულიყო და ამხანაგებს პეტრე სახელმწიფო ოპერის თეატრში გამართულ ბალეტზე წაეყვანათ.

ამხ. პეტრე ერთხანს კი შესცქეროდა სცენაზე მოცეკვავეებს, შემდეგ ადგა, არ დაუცადა მოქმედების ბოლოს მოშორდა.

საქმის კაცმა, კრებების ნაჩვევმა, ბალეტ-ოპერების უჩვევმა, ვერ ათხოვა ყური მათ, ვერ შესძლო თვალების მიპყრობა იმათკენ და ლოჟის უკანა ოთახში გამოვიდა და სავარძელში ჩაეფლო. მოღლილ მოქანცულს ძილი წამოეპარა.

ამხ. პეტრემ თვლემა დაიწყო.

—... „კრებები... სხდომები... მიტინგები.. ყარაულობა.. მიტინგებზე გამოსვლა"...—ბუტბუტებდა წაძინებული, სიზმარს მიცემული ამხ. პეტრე.

მის ამხანაგებს ესმოდა ეს, მაგრამ მათ იცოდნენ პეტრეს სულიერი მდგომარეობა და ყურადღებას არ აქცევდენ.

ღრმა ძილით გატაცებულ ამხ. პეტრეს სიზმარში ეჩვენებოდა, რომ მას განმეორებით ატყობინებდა ამხანაგი ტელეფონით დანიშნულ სხდომის უკვე მოახლოვებულ დროს.

—„8 საათი არის უკვე?.. ამხანაგები მოვიდნენ ყველანი?.. მოვდივარ! მოვდივარ! აი ეხლავე მოვდივარ!" უპასუხებდა სიზმარში ამხ. პეტრე და თან საჩქაროთ წასასვლელად ემზადებოდა.

ამხ პეტრე ზეზე წამოდგა, უგრძნობლად, თვალი გაახილა და დაუფიქრებლად, სიზმრის შთაბეჭდილების ქვეშ, —არც კი მიუცია თავისთვის შეკითხვა, სინამდვილე იყო ეს თუ სიზმარი და თეატრიდან გარეთ, ქუჩაში გამოვარდა.

— სად მიიჩქარები ამხანაგო პეტრე?.. ჯერ ხომ „თეატრი არ გათავებულა"!?

—ჰკითხა ნაცნობმა ამხანაგმა გამოსავალ კარებთან, თეატრის წინ, რომელიც სხდომის გათავების შემდეგ, ისე, როგორც ბევრი სხვა ამხანაგებიც, თეატრში მოდიოდა ბალეტის საყურებლად.

ამხ. პეტრემ ინსტიქტიურათ მიუგო—„სხდომაზე"ო და არც კი შეჩერებულა, გზა განაგრძო. ხოლო უკანასკნელმაც ეს პასუხი საერთოდ ჩვეულებრივ ამხანაგების პასუხად მიიღო; ის სრულებით არ გაუკვირებია იმას, რომ ასე გვიან, ერთობ შეუფერებელ დროს, როცა უკვე ღამის 11 ნ.ხ. საათი იყო, მის მიერ მიცემულ კითხვაზე:—„სად მიეჩქარები?"—ამხ. პეტრემ უპასუხა:—„სხდომაზე"-ო.

8.

ღამის 12 საათი სრულდება.

რუსთაველის ფართე და გრძელი პროსპექტი მოსეირნე ხალხისაგან დაცალიერდა.

აქა-იქ ძალზე ჩაბნელდა კიდეც დაკეტილ მაღაზიებისა და კინემატოგრაფ-თეატრებში ელექტრონის ჩაქრობის გამო.

— შეჩერდით!!!.

— შეაჩერეთ ავტომობილი!!!...—მორთო ღრიალი პოსტზე მდგომმა მილიციონერმა, რომელიც გამუდმებით „სვისტოკს" აძლევდა.

ავტომობილი შეჩერდა. ხალხიც, დაცალიერებული ქუჩებიდან თითქოს საიდანაც გაჩნდა და ხმაურობაზე უცებ მოგროვდა.

— რა ამბავია? რა მოხდა?...—ეკითხებიან მილიციონერს.

— ვერა ხედავთ მდებარე ადამიანის გვამს, ავტომობილმა გასჭყლიტა...

—„საწყალი!!—გაისმა ხმები. გვამს მოუახლოვდნენ, თვალიერება დაუწყეს.

ის კი ისე იყო დასახიჩრებული, დამახინჯებული ავტომობილისგან, რომ ცნობა შეუძლებელი იყო.

— ალბად მთვრალი იქნებოდა ძალზე.

— მით უმეტეს, რომ [illegible] რაღაც არა ჩვეულებრივად ბნელა.

— შოფერმაც ამიტომ ალბად ვერ დაინახა...

— მე, ამხანაგო, როცა ღამე მივდივარ და ისიც ასე მობნელო ქუჩებში, გამუდმებით ვაფრთხილებ მგზავრებს. ალბად არ მიაქცია ყურადღება და მე კი თითონ ვერ დავინახე.

— ელაპარაკებოდენ ერთმანეთს გარშემო შემოკრებული ხალხი, რომელშიც ჩარეულიყო თითონ შოფერიც და თავს იმართლებდა.

მილიციონერმა ჩვეულებრივ საჩქაროდ ოქმი შეადგინა, შემდეგ შოფერის დახმარებით გვამი ავტომობილში ჩადვა და საავადმყოფოში გაგზავნა.

საავადმყოფოში დოკუმენტის გასინჯვამ გამოარკვია, რომ ავტომობილით გასრესილი ამხანაგი პეტრე იყო.

— საწყალი პეტრე!

— საწყალი პეტრე!...

—„ის იმსხვერპლა სიბეცემ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში დასჩემდა მაგ უბედურს.

— ეს თუ არის მიზეზი, მაშინ ბევრ სხვა ამხანაგებისასაც ასეთსავე ბოლოს უნდა ველოდეთ...

ასე მსჯელობდენ ამხანაგები ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. პეტრეს შესახებ.

სიბეცე მართლაც, რომ იყო მისი დაღუპვის მიზეზი, მაგრამ რატომ არავინ მათგანი არ კითხულობდა, თუ რა იყო ამ გაბეცების მიზეზი??.

ხ. თალაკვაძე.

დამზღვევი კასა

საექიმო დახმარება დაზღვეულთათვის

ამ დღეებში ჯანმრთელობის კომისარიატმა გამოაქვეყნა და დაურიგდა ყველა პროფკავშირებს და სხვა და სხვა ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და ქარხნებში გასავრცელებლად ექიმების სია, მათი მისამართით და სახელმძღვანელო წესით თუ როგორ უნდა ისარგებლონ დაზღვეულთა ექიმებისაგან.

აქ ერთ თვალსაჩინო ნაკლს აქვს ადგილი. ე. ი. არ არის დაცული დაზღვეულთა მიერ ექიმთა თავისუფალი შერჩევა და ეს საკითხი მუშათა სოციალურ დაზღვევის სფეროში, საზოგადოთ, ერთ-ერთ თვალსაჩინო საკითხთაგანს შეადგენს. ამ საკითხს აქვს ისეთი უცილობელი დადებითი მხარე, რომ მისი პრინციპიალურათ უარის ყოფა შეუძლებელია, მაგრამ თუ ეს საკითხი ერთნაირი სისტემიური წესით არ იქნა განსაზღვრული, თუ არ იქნება მიღებული მხედველობაში დრო და მატერიალური შესაძლებლობა — ერთი მხრივ, და მეორე და უმთავრესი, სანამ ექიმთა კორპორაცია არ იქნება დაახლოვებით გაცნობილი მუშა-მოსამსახურეთა სპეციფიურ წამლობა—ექიმობასთან, მანამ ექიმთა თავისუფალ შერჩევის შემოღება საზარალო იქნება არა მარტო მატერიალურათ, არამედ თვით დაზღვეულთათვისაც.

ჩვენს ცხოვრებაში დაზღვევის საქმეს ნაკლები ტრადიცია აქვს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ექიმთა დაახლოვება მუშებთან და მუშების ექიმებთან, და მათ შორის არა სუფევს მჭიდრო დამოკიდებულება, მათ შორის ჯერ კიდევ ვერ არის გამონახული საერთო ენა. ეს ბევრისთვის შეიძლება გაუგებარიც იყოს, მაგრამ სინამდვილე გვავალებს ამ საკითხს ფრთხილათ მოვეკიდოთ. ყველა ექიმი ერთნაირი ყურადღებით ვერ მოუსმენს ავათმყოფ მუშას. ექიმი და მუშა დიდი ხნით იყვნენ დაშორებულნი ერთი მეორეს; და ესენი ნაკლებათ იცნობენ ერთმანეთს ამხნაირათ ნაკლები შესაძლებლობა იყო იმისა, რომ ექიმთა დიდი უმრავლესობა გაეცნობოდა მუშათა პროფესიონალურ ავათმყოფობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათათვის—ეს მხარე საკითხისა—სპეციალური საკითხია და აქ ამის გარჩევას მე არ შევუდგები.

ასეთ პირობებში—კი ექიმთა თავისუფალი შერჩევა გამოიწვევს ტყუილა გადიდებულ ხარჯებს, „სოცდილ" წამლების გაწერას და ნაკლებ სარგებლობას მოუტანს მუშას. აქ საჭიროა საკითხი პრაქტიკულათ დაისვას და წამლობა—ექიმობის საქმე ისეთ ჩარჩოებში ჩავაყენოთ, რომ ავათმყოფთათვის ექიმობა გაადვილებული და ნაყოფიერი იქნეს ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ექიმთა მუდმივ კადრს შესაძლებლობა ექნეს მუშას დაუახლოვდეს, შეისწავლოს იგი, ამ გზით ჩაედვას საფუძველი მომავალ საქმეს—ექიმთა თავისუფალ შერჩევას ავათმყოფთაგან.

ამ მხრივ გამოქვეყნებული ექიმთა სია, ამბულატორიები, ექიმი-სპეციალისტები და წესი სარგებლობისა დაზღვეულთა მიერ უსათუოდ დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს. ამბულატორიაში 30 ექიმამდი ირიცხება დამხმარე სამედიცინო პერსონალის გარდა, (ფერშლები, სანიტარები) სარაიონო ექიმთა რიცხვი 35-მდის, კონსულტანტების გარდა და სხვ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რაიონის ექიმები განაწილებულია იმ ანგარიშით, თუ რომელ რაიონში როგორ რაოდენობას შეადგენენ დაზღვეულნი და აგრეთვე იმას, რომ ნაჩვენები ექიმები ფრთხილათ არიან შერჩეულნი, და, დაბეჯითებითაც შეიძლება ითქვას, კარგს ძალასაც წარმოადგენენ—მაშინ ყველასთვის ცხადი გახდება, რომ დაზღვეულთა უზრუნველყოფა წამლობა და ექიმობის მხრივ ერთნაირ სიმაღლეზე დადგება.

აგრეთვე ყურადსაღებია ამბულატორიათა დაწყობა ადგილობრივათ. აქ უსათუოდ სახეში მიღებულია ის გარემოება, რომ ამბულატორია უნდა არსებობდეს მუშათა რაიონებში—თვით მახვილ წარმოებასთან მიკერებული, რომ მით მუშა მოსამსახურეთ არ მოუხდეს შორს სიარული და საჭიროებისამებრ სასწრაფო დახმარება ადგილობრივათ მიიღოს. სწორეთ ამ მიზნის მისაღწევათ მოწყობილია ტრამვაის ამბულატორია, რომ მისი მრავალი მუშები და მოსამსახურენი იქვე ღებულობდნენ საექიმო დახმარებას და მათთან ერთათ, მათ ახლოს მდებარე ქარხნების მუშებიც. ასეთია ორთაჭალის ამბულატორია—ყოფილი ადელხანოვის ქარხნის მუშების და იქ სხვა ქარხნათა დასაკმაყოფილებლათ. არსებობს ამბულატორია სასაკლაოზე არსენალში, ავჭალაში, ცენტრში (დიდი ვანქის ქუჩ.) და განზრახულია კიდევ რამოდენიმე ამბულატორიის დაარსება, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, აგრეთვე ბევრ ქარხანაში მიყენებული არიან განსაკუთრებული ექიმი ან ფერშალი სასწრაფო დახმარებისათვის. აგრეთვე ყურადსაღებია ისიც, რომ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მუშათა წრეებში სამკურნალოებში მოთავსების საკითხი—უადგილობის გამო. აქაც, როგორც სჩანს განცხადებიდგან, სხვა სამკურნალოების გარდა ყოფილი მიხაილოვის სამკურნალო განსაკუთრებით დაზღვეულთათვის არის მიჩნეული. ყველა ამ ზომებს თუ ავწონ-დავწონით და მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას—მეტის მოთხოვა აღარ შეიძლება აქ მხოლოდ საჭიროა, რომ ყველა ორგანიზაციებმა და უმთავრესათ-კი თვით მუშებმა და მუშათა შეგნებულმა ნაწილმა დახმარება გაუწიონ ამ საქმის მომწყობ ორგანიზაციას.

თქმა არ უნდა, რომ წამლობა ექიმობაში დაზღვეულთათვის კიდევ ბევრს ნაკლოვანებას აქვს ადგილი, ყველა აქ ნაჩვენები ზომები ვერ ამოსწურავენ იმ უამრავ მოთხოვნილებას, რაც ესაჭიროება ავათმყოფს, მით უმეტეს, ვიმეორებ, დღევანდელ პი-

---

*) დასასრული იხ „კომუნისტი" № 84.

რობებში, როცა სიმშილის ბრჭყალები სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება და ამ ნიადაგზე ათას ნაირ ავათმყოფობას ექნება ადგილი—ეპიდემიებს და სხვა. ხოლო ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ღარიბები ვართ უკვე ნაცნობ მდგომარეობის გამოისობით და ჩვენ წინაშე ისე უნდა იდგეს საკითხი, რომ რაც გაგვაჩნია, ის სარგებლიანათ და ჭკუით მოვიხმაროთ, თუ ამას არ ვიზამთ—უარესს მდგომარეობაში ჩავცვივით და, თუ არა ჩვენი საკუთარი ძალღონით—სხვა, მტრობის გარდა დახმარებას არ გაგვიწევენ. ეს მდგომარეობა ყველა მუშამ სწორათ უნდა გაიგოს და შეიგნოს. დამზღვევ ორგანიზაციას ფრიად ნაკლები მატერიალური შესაძლებლობა აქვს, რომ ამაზე მეტის გაკეთება შესძლოს. საერთო მდგომარეობა, ჩვენი წარმოების მოუწყობლობა ისეთ პირობებშია დღეს, რომ იმ მცირე გადასახადსაც-კი (10 პროც.) ვერ იხდის დროზე, რომ ამ ფარგლებში მაინც შესძლოს დამზღვევმა ორგანიზაციამ თავისი მუშაობის გაცხოველება. ეს 10 პროც. გადასახადი—კი, მწარმოებელთა მიერ, ფრიად მცირეა, რომ შეიძლებოდეს ამ თანხით მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა როგორც მატერიალური დახმარებით შრომის უნარის დაკარგვის დროს, აგრეთვე მთელი წამლობა—ექიმობის უზრუნველსაყოფათ. ამაზე ბევრი ითქვა და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ეს 10 პროც. უნდა უსათუოთ დროით და უკლებლივ გადაიხადონ ყველა მწარმოებლებმა, წინაამდეგ შემთხვევაში დამზღვევი ორგანო ვერ შესძლებს თავის ფუნქციების სასურველათ შესრულებას და ეს უპირველესათ წარმოებისათვის არის საზარალო.

დაზღვევის საქმე სახელმწიფოს საქმეა, ხოლო მთლათ სახელმწიფოს ვერ დავაწვებით, სახელმწიფო ამ საქმისათვის მინიმუმს თხოულობს და უნდა მივცეთ ეს მინიმუმი, უნდა შევიგნოთ ახალი ხანის კარნახი.

სანდრო იაშვილი.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

წილკანის არხი.

18 აპრილი ისტორიულ დღეთ უნდა ჩაითვალოს დუშეთის გლეხკაცობის ცხოვრებაში.

ისტორიული დღეა 18 აპრილი არა იმიტომ მხოლოდ, რომ ამ დღეს ზეიმით გაიხსნა წილკანის არხი, რომელსაც დუშეთის მაზრისთვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ამ დღეს დუშეთის მაზრის მშრომელი ხალხის შეგნებაში უსათუოდ ჩაინერგა სოლიდარობისა და ერთსულოვანების იდეა.

განა რაიმე ძალას, თუ არა ხალხის ასეთ ერთსულოვნებას, და მუშურ-გლეხურ მთავრობას, შეეძლო ექვსი თვის განმავლობაში სულ უმნიშვნელო ხარჯით ათი ვერსის მანძილზე არხის გაყვანა? რასაკვირველია, არა!

„ორმოცდა ათი წლის გლეხი ვარ, ბევრი რამ გამომიცდია, ბევრჯელ ვიყავი გაწვეული ძველი მთავრობების მიერ სამუშაოთ, მაგრამ არას დროს ისეთი მონდომებით და გატაცებით არ მიმუშავნია, როგორც ამ არხის გაყვანისათვის ვმუშაობდით". მითხრა ერთმა სოფლის მუშამ, რომლის სიხარულით გაბრწყინვებული სახე ამტკიცებდა, რომ ის მართალს ამბობდა.

მართლაც და ექვსი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ, თავის ნებით გამოდიოდენ თურმე დუშეთის გლეხკაცები არხზე სამუშაოთ. 18 აპრილს ჩვენმა მთავრობამ დიდი ზეიმით გახსნა მშრომელი ხალხის ექვსი თვის განმავლობაში დაღვრილი ოფლის ნაყოფი—წილკანის არხი, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დუშეთის გლეხ-კაცობისათვის.

ამ არხით მოირწყვება რამდენიმე ათასი დესეტინა სათესი მინდვრები, გაშენდება ბაღები, აყვავდება სოფლის მეურნეობა. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ გავედით თბილისიდან დუშეთისაკენ. ჩვენ გვიხაროდა, რომ მივდიოდით შრომის ფრონტზე.

ჩვენს სიხარულს ბუნებაც იზიარებდა: მზიანი დღე იდგა ერთი საათის მგზავრობის შემდეგ ჩვენ მივედით წილკანის არხის სათავეში.

მდინარე არაგვის ნაპირად მუშაობს ქვის წისქვილი, რომლიდანაც იწყება არხი. თბილისიდან ჩასულებმა დავიწყეთ ნამუშევარის თვალიერება არხის სიგანე დაახლოებით ერთი საჟენია, სიღრმე კი ერთ არშინამდის. დათვალიერების შემდეგ დიდი ზეიმით გაუშვეს წყალი არხში, რომლის დროს ფოტოგრაფიული და კინომოტოგრაფიული აპარატები იღებდენ დამსწრეთა სურათებს.

ცოტა ხნის შემდეგ გავეშურეთ ავტომობილებით სოფ. მისაქციელში, სადაც გაიმართა დიდი საზეიმო მიტინგი, რომელსაც ხსნის დუშეთის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე და საქ. აღმასკომის წევრი ამხ. გ. ლაფანაშვილი.

პირველ სიტყვას ამბობს ამხ. ფილიპე მახარაძე, რომლის ტრიბუნაზე გამოსვლა იწვევს დამსწრეთა შორის უსაზღვრო აღტაცებას.

ფილიპე ლაპარაკობს გრძნობით. ის უხსნის ხალხს არხის გაყვანის დიდ მნიშვნელობას, მიუთითებს, თუ რა დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში თვითონ იმათმა, განუმარტავს მათ, თუ როგორ ცდილობს საბჭოთა მთავრობა მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

„თქვენი მთავრობა არხის გაყვანით არ დაკმაყოფილდება, ის ეცდება, რომ თქვენი ცხოვრება ყოველ მხრივ დარჩეს გაუმჯობესებული და სხვ.„ ათავებს თავის სიტყვას ამხ. ფილიპე, რომელსაც მოყვა დამსწრეთა ტაშის გრიალი.

შემდეგ ლაპარაკობს ჩვენი მოხუცი რევოლიუციონერი ამხ. ნესტორ ცერცვაძე, რომლის მდაბიო ენით ლაპარაკმა აღტაცებაში მოიყვანა მიტინგზე დამსწრე გლეხ-კაცები.

„წინათ ჩვენ მონები ვიყავით, ჩვენი ბატონები და სულიერი მამები ზეციურ სამოთხეს გვპირდებოდნენ. დღეს ჩვენ იმათი არ გვჯერა. ჩვენ გვინდა ამ ქვეყნიური სამოთხე" დაათავა ამხ ნესტორმა.

შემდეგ ლაპარაკობენ ამხ. მალაქია ტოროშელიძე და პ. ცინცაძე. პირველი უმაღლეს სამეურნეო საბჭოს სახელით, მეორე კი მიესალმება დუშეთის გლეხ-კაცობას გურიის მშრომელი ხალხის სახელით.

მოკლე სიტყვით გამოდის პოეტი სანდრ ეული (ს ქურიძე) და მიუძღვნის მათ იქვე დაწერილ ლექს „შრომის სამეფოში".

ბოლო სიტყვას ამბობს ამხ. გ. ლაფანაშვილი, რომელიც დუშეთის მაზრის გლეხ-კაცობის სახელით მადლობას უხდის ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებს და იმედს გამოთქვამს, რომ ისინი არ მოაკლებენ შემდეგშიც თავიანთ ყურადღებას დუშეთს, განსაკუთრებით დახმარებას აღმოუჩენენ მას ელექტროფიკაციის მოწყობის საქმეში. ტაშის გრიალით და ვაშას ძახილით მიტინგი იხურება.

ზემოხსენებულ ამხანაგებს გარდა წილკანის არხის გახსნას დაესწრენ ჩვენი მოწინავე ამხანაგები: რაჟდენ კალაძე, სერგო ორჯონიკიძე, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, ალ. ერქომაიშვილი და სხვ.

ასე დასრულდა წილკანის არხის საზეიმო გახსნა, რომლით გამოწვეული სიხარული უსათუოდ გასცილდება დუშეთის საზღვრებს და მომავლის იმედებით ჩაეწვეთება გულში ქართველ მშრომელ ხალხს.

ხან.

მდგომარეობა სენაკის მაზრაში

(ა.წ. თებერვლიდინ დღევანდლამდე)

პარტიული მუშაობა.

სამაზრო კომიტეტის დარბაზში ყოველ კვირაობით იმართება მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე. მოხსენებებს ესწრებიან ქ. სენაკის და თეკლათის თემის ორგანიზაციების წევრები, კანდიდატები და სხვ.

თებერვლის თვეში ყოველ კვირაობით მოხსენების გაკეთებაში ხელი შეგვიშალა სხვა და სხვა კონფერენციებმა, მოწყობილმა ცენტრში, სადაც იგზავნებოდენ მაზრის ორგანიზაციების საუკეთესო წევრები.

მაზრა დაყოფილია შვიდ რაიონად და ოცდა ჩვიდმეტ თემად. პარტიულ მუშაობის გასაერთიანებლად დ მჭიდროდ დასაკავშირებლად სამაზრო კომიტეტისა რაიკომებთან, უკანასკნელებისა—თემკომებთან, თემკომების—კომუჯრედებთან და საჭირო დარიგებების და ინსტრუქციების მისაცემად სამაზრო პარტკომმა მოაწყო ორჯერ შემოვლა მთელი მაზრისა: ერთი-პარტიის წევრთა აღნუსხვის დროს თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში და მეორე აპრილის თვის პირველ რიცხვებში პოლიტკომპანიების ჩატარების დროს.

სამაზრო კომიტეტმა მოიწვია ერთ ხელ რაიკომების პასუხისმგებელი მდივნების თათბირი აპრილის პირველ რიცხვებში.

მიუხედავად ხარჯის და გადასაზიდი საშუალების სრული უქონლობისა, კომიტეტმა თავის დროზე შესძლო ჩაეტარებია სენაკის მაზრის ყველა თემებში (თითქმის) ის კამპანიები, რომლების ჩატარების შესახებ ჰქონდა ნაკარნახევ კომიტეტს ცენტრ. კომიტეტისაგან, გარდა პარიზის კომუნის დღესასწაულის დღისა, 18 მარტს, რომელიც ჩავატარეთ მხოლოდ ქ. ახალ სენაკში. თემებში ამ დღესასწაულის ჩატარებაში ხელი შეგვიშალა ცნობის გვიანი მიღებამ.

ქალთა შორის მუშაობა.

დელეგატები, თანამგრძნობი ქალები კვირაში ერთხელ იკრიბებიან საქალებო განყოფილებაში, სადაც სწარმოებს პოლიტიკური ბროშიურების კითხვა, მის გარშემო კამათი შესწავლა „ინტერნაციონალი"-სა „სამგლოვიარო მარში"-სა და სხვა რევოლიუციონური სიმღერებისა.

მოხდა სენაკის დაწესებულებათა გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან, რომელთა, მაგიერ სამსახურში იქნენ ჩარიცხულნი ოციოდე დელეგატ ქალები, რომლებიც დიდ ინტერესს და ერდგულებას იჩენენ საქმისადმი.

მაზრის ყველა თემებში იქნა ჩატარებული მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაული—8 მარტი. გამოტანილია ყველა თემებში სათანადო რეზოლიუციები, რომლებიც ინახება საქმეებში.

8 მარტს დაწესებულებებში მოსამსახურე ქალები იქნენ განთავისუფლებულნი დღის 12 საათიდან.

8 მარტს ქ. სენაკს საბჭოთა თეატრში იქნა დადგმული პიესა „8 მარტი" ცეიტლინისა უფასოდ მშრომელი ქალებისთვის.

როლები ჰქონდათ განაწილებული თანამგრძნობ და ქალთა განყოფილების დელეგატებს, რომლებმაც მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები.

მიმდინარე წლის მარტის თვის მეორე ნახევრის რიცხვებში მაზრის ყველა თემებში მოხდა უპარტიო ქალთა კრება, სადაც მოხდა არჩევნები დელეგატებისა სარაიონო უპარტიო ქალთა კონფერენციაზე დასასწრებად. სარაიონო კონფერენციების დღეებიც იყო დანიშნული. იყო შემუშავებული ნორმა წარმომადგენლობისა. მაგრამ კონფერენციები არ შემდგარა, რადგან წინა დღით მივიღეთ ც. კ. ცირკულიარი, რომელიც კონფერენციის მოწვევაზე უარს გვეცხადებდა.

ყაჩაღობა და ბანდიტიზმი.

აღმასკომის იუსტიციის განყოფილების ცნობების თანახმად, ყაჩაღობა და ქურდ ბაცაცობა მაზრაში მენშევიკების დროსთან შედარებით, შემცირდა 80 პროცენტით.

ბანდიტიზმს მაზრაში ადგილი არ ჰქონია, არც აქვს.

დეზერტირობა.

იანვრის თვეში გამოცხადებული მობილიზაცია ჩატარდა ბრწყინვალედ. დეზერტირობას ადგილი არა აქვს მაზრაში, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას 1—2 პროცენტს, რომელთა აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებია მიღებული.

მიწის საკითხი.

მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა ბრძანება № 1 თემის მიწის კომისიის სახელმძღვანელოდ. ეს ბრძანება არ სცილდება მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ გამოცემულ ცირკულიარს № 7 და დეკრეტს № 17.

ხსენებულ ბრძანების გამოცემით მოუღეთ ბოლო ყოველგვარ ინსინუაციებს, რომლებსაც უხვად ავრცელებდენ ჩვენი დაუძინებელი მტრები: მემამულეებს დაუბრუნდებათ მამული—მიწა. წარსული წლის მიწების განაწილების საქმე გააუქმდებაო და სხ. და სხ.

თესლეულის მიწოდების საქმე.

მაზრის მცხოვრებთა 70—80 პროცენტი საჭიროებს სათესლე სიმინდის დახმარებას. ქვრივ ობლებსა და ღარიბებ შორის ჯერჯერობით დასარიგებელია სათესლედ სიმინდი ექვსი ათას ფუთამდე, მაგრამ ეს მაინც წვეთია ზღვაში. საჭიროა დროზე ცენტრის მიერ დახმარების აღმოჩენა. თესლის უქონლობისა გამო თესვა შეჩერებულია. ამ შემთხვევაში ჩვენმა მეცადინეობამ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ვიმეორებ და ხაზს უსვამ საქმე მიმდგარია თესლზე, რისი გადადება უქონლობისა გამო აღემატება ჩვენს ძალას.

სახერხი ქარხნების ამუშავება.

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა დიდი ხნის ჩვენი სურვილი და მოთხოვნილება და გადმოსცა ჩვენი აღმასკომის ეკონ. განყოფილების განკარგულებაში ქ. ყულევის სახერხი ქარხნები, რომლების დაუყონებლივ ასამუშავებლად მიღებულია სათანადო ზომები. სახერხი ქარხნის მახლობლად გვაქვს 2,000 ძირი ხე, რომელთა გადამუშავებას ვაპირებთ სატყეო მასალად.

დამშეულთა საკითხი.

დიდი ხანია რაც დამშეულთა დამხმარე კომიტეტი შევადგინეთ, რომელმაც დიდი ხანია, რაც მაზრაში დამშეულ მცხოვრებთა აღნუსხვა მოათავა. კომიტეტმა სია დამშეულთა წარუდგინა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

დამშეულთა ფონდის გასაძლიერებლად შემდგარია შემდეგი სექციები: 1) თეატრალური, რომლის გამგეთ მოწვეულია ვალერიან გეგეჭკორი; 2) სალამოების მომწყობი, გამგეთ ოლ. ხოფერია; 3) შემოწირულებათ მიმღები, გამგეთ ნინა ქობულია.

სექციათა გამგეებს უფლება აქვთ თანამშრომლად აიყვანონ 2-დან 4-მდე კაცამდე.

სექციები იმოქმედებენ იმუშავებენ პირველ ენისამდე. აღსანიშნავია ისიც რომ სექციების გამგეებსთ არიან მოწვეულნი ფრიად საქმიანი ამხანაგ-მოქალაქენი.

10 აპრილს პირველად მოეწყო ქალაქში შემოწირულებათა მიღება, რომელმაც მოგვცა 5,000,000 მან.

ნატურ-გადასახადი.

ყოველივე გაუგებრობის და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აღმასკომის მიერ შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელო ინსტრუქცია ნატურ გადასახადის შესახებ.

ინსტრუქციის შემუშავების დროს აღმასკომი ხელმძღვანელობდა ცენტრალურ მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ ცირკულიარ-ბრძანებებით.

ნატურ-გადასახადის გაწერას აწარმოებდა თემის საბჭო ამ საქმისათვის სპეციალურად მიჩენილ და გაგზავნილ სასურსათო კომიტეტის მიერ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით. ნატურ გადასახადის მოგროვება დაწყებულია თემებში. ვფიქრობთ: 15,000 ფუთი სიმინდის მოგროვებას. მოგროვება მალე მოთავდება. არავითარ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, რაიც უნდა აიხსნას ჩვენ მიერ წინდაწინ ამისათვის სათანადო ნიადაგის მომზადებით.

ქალაქის ბაღი.

მენშევიკების დროს ქალაქის ბაღი წარმოადგენდა ეზოს, ეზოს შემოუკავებელს, ბაღი სავსე იყო ყოველნაირი პირუტყვით, რომელიც სჯიჯგნიდა და [illegible]ატყავებდა[illegible]მას. არ იყო კულტურული მცენარეები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქ იქ მიწასთან გასწორებულებს.

მარტის შუა რიცხვებში ბათომში შევიძინეთ ორმოცდა ათი მილიონის სხვა და სხვა კულტურული მცენარე, ჩამოვიტანეთ და დავნერგეთ ქ. ბაღში, ბაღის ყოველივე წესით.

ჩემი იქ ყოფნის, 10 აპრილის, დროს ბაღი შემოკავებული იყო მუხის რეიკებით ნახევარზე. შემოკავება გრძელდება. ალბათ დღეს დასრულებული იქნება ბაღის შემოკავება.

ერთი სიტყვით, დღეს ქალაქის ბაღი წარმოადგენს მშვენიერ სანახაობას.

ქალაქის განათება.

ორი თვე შესრულდა რაც დავისახეთ მიზნათ ქალაქის ელექტრონის საშუალებით განათება ამ მიზნისთვის შევიძინეთ ვინმე ინჟენერისაგან მანქანა „დინამო." შევიძინეთ მატორი დინამოსთვის. სწარმოებს დინამოსთვის საჭირო სხვა და სხვა მასალების შეძენა. ხელშეკრულების ძალით განათება ქალაქისა უნდა მოხდეს მაისის დამლევამდე. ამ საქმის მოგვარება თითქმის მილიარდზე მეტი გვიჯდება.

სამაზრო პროფესიონალური კავშირი.

სტრუქტურა პროფკავშირების სენაკის მაზრაში ჩამოყალიბებულია. ყველა თემებში არის დაარსებული თითო ჩანასახი, რომლებიც აერთიანებენ თემის მუშა-მოსამსახურეებს განურჩევლად პროფესიისა მაზრა დაყოფილია ექვს რაიონად. თითოეულ რაიონში დაარსებულია სამდივნო. სარაიონო სამდივნოს გარშემო თავს იყრიან სარაიონო კავშირები და სექციები.

თვით ქალაქ სენაკში არის დაარსებული თოთხმეტი პროფკავშირთა ჩანასახი სხვა და სხვა დაწესებულებებში. არის სამპროფბიურო, რომელსაც აქვს შემდეგი განყოფილებები: 1) საორგ. საინსტრუქტორო, 2) სატარიფო განყოფილება, 3) ეკონომიური, 4) შრომის დაცვის და 5) კულტურული განყოფილება.

სამპროფბიუროს მაზრაში ყავს 2.000 წევრი მუშა-მოსამსახურე.

უკანასკნელი მობილიზაცია.

აპრილის პირველ რიცხვებში გამოცხადებული მობილიზაცია, რომელიც ეხებოდა დაბადებულებს: 1896, 1897, 1897 წ.წ. და უმცროს და უფროს მეთაურთ, დაბადებულთ 1895 წელში და ადრე მოსაწვევ ამხანაგებს, ბრწყინვალედ ჩატარდა.

არამც თუ იმალებოდენ ამხანაგები არამედ სიაში არ აღნიშნული ამხანაგები მოდიოდენ პარტიული მოწმობებით ხელში და ითხოვდენ სიაში შეტანას.

პოლიტიკური მდგომარეობა.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეშჩანურ ნაწილს, ხალხის თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი დიდია. მოწინაამდეგეთა პარტიებს არა აქვთ არავითარი გასავალი ხალხში.

პოლიტიკური მდგომარეობა მაზრაში მყვიდრია.

მ. სალომეშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 1.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებად დამტკიცებულ არიან: ამხ. ქოქაშვილი, ესსენი, ვაჭაძე და ავალიშვილი.

საქართველოს ს. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ოკუჯავა.

მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წლის აპრილის 10.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება

მუნიციპალიზაციისაგან თავისუფალი სახლების შესახებ.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახლის პატრონთა მფლობელობაში რჩება ყველა სახლები გარდა საქართველოს გასაბჭოებამდე მომქმედ კანონების თანახმად ჩამორთმეულ და სახელმწიფო საკუთრებად გადარიცხულ სახლებისა და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების საქალაქო და სამაზრო ორგანოების მიერ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადასტურებით მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებისა.

შენიშვნა: დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა ორი კვირის განმავლობაში სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა წარმოუდგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების სია, რომელსაც განხილვისა და დამტკიცების შემდეგ კომისარიატი აქვეყნებს „შ. ს. ს. კ. „მოამბეში".

3. ყოველი არა მუნიციპალიზაცია-ქმნილ სახლის პატრონი ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა ვალდებულია დაუბრუნდეს თავის სახლს და შეუდგეს მის სამეურნეო მართვა გამგეობას.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადაზე სახლის პატრონი არ დაუბრუნდება თავის სახლს და არ მოისურვებს მის მოვლა-პატრონობას, კომუნალურ განყოფილების წარმოდგენით და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასტურით ასეთი სახლი, როგორც უპატრონოთ დატოვებული ცხადდება მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლად.

2. მუნიციპალიზაციისაგან თავისუფალი სახლების პატრონები, რომლებიც განაგებენ სახლებს პირადათ ან რწმუნებულის საშუალებით, მოვალენი არიან მოვლა და პატრონობა გაუწიონ სახლს, შეასრულონ მიმდინარე რემონტი და ადგილობრივი ხელისუფლების ყოველგვარი სანიტარული და ადმინისტრატიული მოთხოვნა-განკარგულება.

4. სახლის პატრონს, როგორც კერძო პირს აგრეთვე საზოგადოებას, უფლება აქვს იჯარით გასცეს ან გაყიდოს სახლი და გააქირაოს ბინები.

5. ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებას შეუძლია აღრიცხვაზე აიღოს მუნიციპალიზაციისაგან თავისუფალი სახლების ბინათა ერთი ნაწილი, საცხოვრებელი არეს საერთო რაოდენობის 10 პროცენტი საბჭოთა დაწესებულების და მუშა-მოსამსახურეთა ბინებით დასაკმაყოფილებლად. დანარჩენი ბინები აღრიცხვისაგან თავისუფალნი არიან და მათი გაქირავება-გადაცემა ხდება დამქირავებელთან უშუალო მოლაპარაკებით სახლის პატრონთა ან მათ რწმუნებულთა მიერ.

6. ყოველი მოქალაქე, საზოგადოება თუ საბჭოთა დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს კერძო სახლის პატრონის სასარგებლოთ ბინის ქირა, მიუხედავად იმისა კომუნალურ განყოფილების მიერ აღრიცხვაზე არის აღებული ბინა თუ აღრიცხვისაგან თავისუფალია.

7. დადგენილება რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებისათვის საცხოვრებელი ბინის და სხვა სადგომების ქირის ტარიფიკაციის შესახებ ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

8. ბინის ქირის ან იჯარის გადაუხდელობისათვის სახლის პატრონს შეუძლია დაალევინოს მდგმურს ბინა ან მოიჯარადრეს სახლი სასამართლოს დადგენილების ძალით.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველოს გამგე **ა სიღომონიშვილი.**

1922 წ. თებერვლის 3.

ქ. თბილისი.

სარედაქციო კოლეგია.

გრძელდება ხელის მოწერა გაზეთზე

„საქართველოს ეკონომიური ცხოვრება"

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო.

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯელ. გამოცემის მიზანია საქართველ
ეკონომიური ცხოვრების ყოველ მხრივი გაშუქება და თეორიული განვით
რება. საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკების და კაპიტალისტურ სახელმწ
ფოების ეკონომიკის მთავარი მხარეების გაშუქება, ფართო ინფორმაცია საბ
ჭოთა ფედერაციის რესპუბლიკების წარმოების განვითარებაზე ახალი ეკ
ნომიური პოლიტიკის საფუძველზე და სხვა.

გაზეთზე ხელის მოწერა და განცხადებები

მიიღება გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში: რუსთაველის (ყოფ
ლი გოლოვინის) პროს. № 24., გაზეთის კანტორაში სასახლის ქუჩა №
მესამე სართული და აგრეთვე მოწმობით აღჭურვილ აგენტების საშუალებ
ხელის მოწერის ფასი: თბილისში ადგილზე მიტანით 80.000 მან
პროვინციაში 100.000 მან. ერთი ეგზემპლიარის ფასი 10,000 მან.
განცხადებების ფასი: 15,000 მანეთი სტრიქონი ნონპარელი.

(3—1)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გაზეთებზე ხელის მომწერთ: „პრავდა გრუზიი"-ს (რუსულ ენაზე) „კ
მუნისტი"-ს (ქართულ ენაზე), „კარმირ ასტღ"-ის (სომხურ ენაზე). „მ
მუშა"-ს (ქართულ ენაზე ორჯელ კვირაში). „ახალი აზრი"-ს (თურქულ ენ
ზე ორჯელ კვირაში).

ვსთხოვთ განაახლონ ხელის მოწერა მაისისათვის არა უგვიანეს 30
რილისა, ვინაიდგან პირველ მაისამდე ვინც ხელის მოწერის ფასს არ გა
იხდის გაზეთი არ გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველიდან მეო
თვის პირველამდე, გამონაკლის შემთხვევაში 1-დან ორამდე (15—1-მდე
წინაამდეგ).

ხელის მოწერა მიიღება ტრესტის კანტორაში, რუსთაველის პრო
№ 24. მეორე სართული. 9 დან 3 საათამდე დღის. აქვე მიიღება განცხა
ბები თბილისის ყველა გაზეთებში.

პროვინციელ აგენტთა საყურადღებოთ

ყველა პროვინციელ აგენტებს ევალებათ დაუყონებლივ და სრული
გაუსწორონ ანგარიში გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორას (რუსთაველ
პროსპ. № 24). მიღებულ გაზეთების ანგარიშის გაუსწორებლობისათვის
მაისამდე, დაჰკარგავენ წარმომადგენლობის უფლებას და მიცემულ იქნებ
პასუხისგებაში.

1 მაისიდან გაზეთი „პრავდა გრუზიი" გაიცემა 10 პროცენტის უ
დაბრუნების უფლებით, რისთვისაც აგენტები ვალდებულია თავის დრო
აცნობონ გაზეთის ტრესტს თითეულ გაზეთის საჭირო რაოდენობა. მომა
ლი ანგარიშის გასწორება ტრესტის განტორასთან უნდა ხდებოდეს ორჯ
თვეში.

ტრესტის მთავარი კანტორა.

გრანდიოზული სეირნობა,

რომელიც უნდა მოწყობილიყო 17 ამა აპრილს ფოსტა-ტელეგრაფის სახა
ხო კომისარიატის მიერ საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

გადაიდო შაბათისთვის 22 ამა აპრილის.

დილის 12 საათიდან 6 საათამდე სეირნობა იქნება ბავშვებისათვ
6 საათიდან კი მოზრდილთათვის.

(3—2)

განცხადება

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპი გადასახადთა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა, რომელიც იყო მიცე
ლი გურჯაანის ოპერაციის აქციზის კონტროლიორის უკლებაშვილის მ
7 აპრილს 1922 წ. 7505 № ით მოსე ბეზარაშვილის ღვინის სარდაფის
ხელზედ ქალ. თბილისში, რაზიეის ქ. № 16 მე-8 უბანი (10 კასრი
ვედრო) ღვინის წამომღებს დაუკარგია, რის ნაცვლად მიცემულია მ
მობის ასლი და დედანი გაუქმებულია.

(1—1)

განცხადება

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ღვინის გადასატანი მოწმობა, რომელიც იყო მიცე
ლი გურჯაანის ოპერაციის აქციზის კონტროლიორის უკლებაშვილის მ
7 აპრილს 1922 წელს 7508 №-ით ლუკა ხელაშვილის ღვინის სარდა
სახელზედ ქალ. თბილისში, ანდრეევის ქუჩა № 6 მე-9 უბანში (10 კა
550 ვედრო) ღვინის წამომღებს დაუკარგია, რომლის ნაცვლადაც მიცე
ლია მოწმობის ასლი და დედანი გაუქმებულია.

(1—1)

მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი"-ს

გამგეობა აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 22 მაისისთ
(ძველი სტილით 9 მაისი)—მოწვეულია

რწმუნებულთა წლიური კრება

თანახმად წესდების § 21-ისა და § 25-ისა განსახილველია:

1) წლიური ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება,
2) გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი,
3) მოგების განაწილება,
3) საბჭოს შესახებ დებულება,
5) წესდების ზოგიერთი მუხლების დამატება და შეცვლა,
6) მომავალი მოქმედების გეგმა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა,
7) მიმდინარე საკითხები,
8) გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის მორიგი არჩევ
(თანახმად წესდების §§ 31 და 39).

რადგან ეს კრება მეორედ ინიშნება, თანახმად წესდების მე-24
ლისა, კანონიერი იქნება მიუხედავად იმისა რამდენი წევრიც უნდა და
წროს კრებას.

(3—1)

ქ. თბილისის 1-ლ რაიონის სახალხო სასამართლო

იწვევს სახალხო სასამართლოში ემილიან კარლოს ძე ნეივირტის, როგო
მოპასუხე მის მეუღლესთან ქეთევან დიმიტრის ასულს ნეივირტს, და
დებით ლორთქიფანიძე, განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების
სახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღი
ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდა დანიშნული იქნება საქმე და გამო
ნილი დაუსწრებელი დადგენილება.

სახალხო მოსამართლე **ა. ჩაჩავა.**

1—1